ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 15 ივნისი 2004 №135 (2154) | ფასი 50 თეთრი



გოლებით ამოტივნილი ბულგარული წიწაკა შვედურ მაგიდაზე

კარის მშრალად შემნახველებმა, დანიელმა თომას სორენსენმა
და იტალიელმა ჯანლუიჯი ბუფონმა ერთმანეთს თამაში შეუქეს

სკუადრა აძერო

ჩვეულად იწყებს: დანიას ვერც გაუტანა და არც გაატანინა

REUTERS ლისაბონიდან

ფრედი ლიუნგბერგის 1:0

შვედეთი 5 — 14 ივნისი, C ჯგუფი. I ტური, ლისაბონი. ჟოზე ალვალადე — ბულგარეთი 0

1:0 ლიუნგბერგი (32), 2:0, 3:0 ლარსონი (57, 58), 4:0 იბრაჰიმოვიჩი (78პ), 5:0 ოლბოკი (90)

1 ისაკსონი	1 ფეტროვი
3 მელბერგი, 15 იაკობსონი	3 კირილოვი, 18 პაჟინი
2 ლუკიჩი, 5 ედმანი	2 ვ. ივანოვი, 4 ი. პეტკოვი
6 ლინდეროტი	19 ს. პეტროვი, 15 ხრისტოვი
7 ნილსონი, 9 ლიუნგბერგი	13 პეევი, 17 მ. პეტროვი
8 ა. სვენსონი	21 იანკოვიჩი
10 იბრაჰიმოვიჩი, 11 ლარსონი	9 ბერბატოვი
მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი	მწვრთნელი: ჰლამენ მარკოვი
შეცვლა: ლუკიჩი — 21 ვილჰელმსონი (41), სვენსონი — 16 კალსტრიომი (77), იბრაჰიმოვიჩი — 20 ოლბოკი (81)	შეცვლა: იანკოვიჩი — 10 დიმიტროვი (62), ბერბატოვი — 16 მანჩევი (76), მ. პეტროვი — 11 ლაზაროვი (84)

გაფრთხილება: პეტკოვი (18), კირილოვი (22), იანკოვიჩი (23), ლინდეროტი (52), იბრაჰიმოვიჩი (65), ივანოვი (71)

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი). 52 000 მაყურებელი

ჯარიმა: 21-19; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 4-8; კარში დარტყმა: 11-3; თამაშგარე: 5-1

ბულგარეთ მუსვრა შვედების ხელობაა

ყვითლები ბევრს გააწითლებენ

REUTERS ლისაბონიდან

ჰლამენ მარკოვი: მივიდა და, მტრისას, რაც ნახა

კაატა კვანტალიანი

იტალია — დანიის შემხედვარე, სანახაობრივ ფეხბურთს დანატრებულ ბევრ ქომაგს, ალბათ ხელი ჩაქნეულიც ჰქონდა ღამის თამაშზე, მაგრამ შვედეთ — ბულგარეთს სანახაობრივი თვალსაზრისით წუნი არ ჰქონდა. იყო ის, რაც აქამდე იშვიათი გახლდათ ამ ჩემპიონატზე: ტემპი, გახსნილი თამაში და ბევრი გოლი. მატჩის ხუთივე გოლი მხოლოდ ერთმა გუნდმა კი გაიტანა, მაგრამ ამით თამაშს არც არაფერი დაკლებია.

შვედეთი 10 წლის წინანდელი სამუნდიალო ბრინჯაოს მატჩის მსგავსად ახლაც იოლად გაუსწორდა მეტოქეს, მაგრამ პირველი ტაიმის შემხედვარე, მინიმალური სხვაობით რომ მოიგეს ჩრდილოევროპელებმა, ვერაფრით იტყოდი, რომ ვიკინგები სამ ქულას მიითვლიდნენ.

ბულგარეთი სწრაფი, გააზრებული და აგრესიული იყო მთელი პირველი ტაიმის მანძილზე და მეტოქეზე უკეთაც გამოიყურებოდა ანგარიშში ჩამორჩენის მიუხედავად. მაგრამ მეორე გოლმა წაახდინა სლავები, მალე კი ლარსონმა მესამეც შეაგდო და შოკში ჩავარდა შვედთა მეტოქე. გუნდი გაფუჭდა, მოიშალა და დედის რძესავით შეირგეს შვედებმა მატჩის დარჩენილი დრო.

თამაშის თვალსასეირობა, ნაწილობრივ იტალია — დანიის ანგარიშმაც განაპირობა. ბულგარეთიც და შვედეთიც მოგების შემთხვევაში მნიშვნელოვან ჰანდიკაპს იჭერდნენ, ამიტომაც იყო სასტარტო ჩასტვენისთანავე ორივე გუნდი შეტევას რომ მიეძალა. ბულგარელთაგან ჩრდილში იდგა დიმიტარ ბერბატოვი, მაგრამ ვოლფსბურგელმა მარტინ პეტროვმა ცეცხლი დაანთო მარცხენა ფრთაზე და ზუსტი, სხარტი პასებით ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა შვედთა დაცვას. პეტროვმა თითო-თითო მომენტი შეუქმნა პეევს და იანკოვიჩს, მაგრამ ამათმა ხელსაყრელ ვითარებაში ვერ ივარგეს.

შვედებისაც ვთქვათ: ბევრს შრომობდნენ ფლანგებზე ანდერს სვენსონი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. წინ კი ორმეურვე აწეპებული ჰენრიკ ლარსონიც მწარედ იკბინებოდა, მე-18 წუთი იყო სვენსონ-ლარსონის იერიში ლამის გოლით რომ დასრულდა. მერე კი იქამდე მიძინებულმა ფრედი ლიუნგბერგმაც აიწყვიტა და მალე იბრაჰიმოვიჩის ზუსტი პასისას ანგარიშიც გახსნა. ამ ეპიზოდში ბულგარელი მცველები პოზიციურად შეცდნენ.

გოლმა ბულგარეთს ცეცხლი შეუნთო. ისევ დაიქოქა მარტინ პეტროვი და მისი ერთ-ერთი პასისას ბერბატოვს ლამაზი გოლი გაჰქონდა თავით, მეკარე ისაკსონს სასწაულებრივ რომ არ გადაეგდო ბურთი კუთხურზე.

მეორე ტაიმიც ბულგარელთა შეტევით დაიწყო. მარტინ პეტროვმა ისევ საგოლედ დატოვა იანკოვიჩი და ამას ისევ მცირედით აუცდა გადამწყვეტი დარტყმა. მერე კი იყო ჰენრიკ ლარსონის ზღაპრული გოლი, ლიუნგბერგის ფლანგურ ჯადოპასს რომ მოჰყვა. ერთ რამედ ღირდა ამ გოლის ნახვა: ლიუნგბერგმა საჯარიმოსკენ ტყვიასავით გაუშვა ბურთი და გაფრენილმა ლარსონმა თავით ზდრავკოვის კარში შეჭედა ბურთი. მეკარე არც განძრეულა, შვედმა ბურთის აღების შანსიც არ დაუტოვა.

აქ კი, დანებდა ბულგარეთი და მეტოქის ნახევარზე გადასვლაც ვერ მოახერხა, ისე გაუშვა მესამე გოლი. სვენსონ-ლარსონული გოლი მაინც გამოვიდა. ექსსელტიკელმა მარცხენა კუთხიდან გაწოლილი დარტყმით ცხრიანში ჩაახვია ბურთი სვენონის ფლანგური პასისას.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. შვედებს დიდად არც გამოუდვიათ თავი დარჩენილ დროში, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი შეძლეს ორი გოლის გატანა. იბრაჰიმოვიჩის პენალტს ზედ ბოლო წუთზე შეცვლაზე შესული მარკუს ოლბოკის გოლი მოჰყვა.

შვედეთი ფავორიტია? რატომაც არა! ორგანიზებული, გუნდური, ფეხბურთი დღეს ძალზედ ფასობს. შვედებს შემსრულებლებიც ნაღდად არ აკლიათ. მსუბუქად, ეფექტურად თამაშობენ და ერთი-ორი ასეთი გამოცდაც თუ ჩააბარეს... რატომაც არა...

შვედეთი	1	1	0	0	5:0	3
დანია	1	0	1	0	0:0	1
იტალია	1	0	1	0	0:0	1
ბულგარეთი	1	0	0	1	0:5	0

II ტური: 18 ივნისი
ბულგარეთი — დანია
იტალია — შვედეთი

REUTERS ლისაბონიდან

ჰენრიკ ლარსონის 2:0

მარკუს ოლბოკის 5:0

ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
დროჰედა 2:2 შელბურნი

ლიგის თასი. II ეტაპი
ლიმერიკი 2:0 დ.დ.(0:0) კორკ სიტი
სლიგო 1:5 *ფინ ჰარპსი*

უკრაინა

პრემიერლიგა. XXIX ტური
ბორისფენი 1:0 მეტალურგი (ზ)
დინამო 4:2 ჩერნომორეცი
ილიჩევეცი 2:0 ვოლინი
კარპატი 0:0 დნიპრო
მეტალურგი (დ) 1:1 ტავრია
ვორსკლა 0:3 შახტარი
ზირკა 0:1 კრივბასი
ოგბოლონი — არსენალი
დღეს გაიმართება



მორტენ ოლსენი

გამარჯვებას ვიმსახურებდით, ბევრი მომენტი გვქონდა და თამაშსაც ჩვენ ვაკონტროლებდით

დანია	14 ივნისი	იტალია
0	C ჯგუფი. I ტური გიმარაეში. აფონსო ენრიკეში	0

დანია: 1 სორენსენი; 4 ლაურსენი, 3 ჰენრიკსენი; 6 ჰელვეგი, 5 ნ. იენსენი; 17 პოულსენი, 15 დ. იენსენი; 19 რომედალი, 9 ტომასონი, 10 იორგენსენი; 11 სანდი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

შეცვლა: სანდი — 14 კ. იენსენი (69), იორგენსენი — 20 პერესი (72), პოულსენი — 18 პრისკე (76)

იტალია: 1 ბუფონი; 13 ნესტა, 5 კანავარო; 2 პანუჩი, 19 კამბროტა; 4 კანეტი, 20 პეროტა; 16 კამორანეზი, 10 ტოტი, 7 დელ პიერო; 9 ვიერი

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

შეცვლა: კანეტი — 8 გატუზო (57), დელ პიერო — 18 კასანო (64), კამორანეზი — 14 ფიორე (68)

გაფრთხილება: ტომასონი (29), კანავარო (61), ჰელვეგი (67), კასანო (69), გატუზო (81), ტოტი (90)

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი). 29 600 მაყურებელი

ჯარიმა: 26-23; კუთხური: 7-5; კარისკენ დარტყმა: 3-5; კარში დარტყმა: 10-7; თამაშგარე: 3-2

ჯოვანი ტრაპატონი

უნდა ვაღიარო, რომ თამაში კარგად ვერ წავიკითხე. ევრო 2004-ის სინამდვილე მთელი სიმკაცრით შემოვარდა ჩვენს ცხოვრებაში

REUTERS გიმარაეშიდან

თომას-ბუფონიანი

კაპუნა კედია

ჩვენ თუ გვკითხავთ, ეს თამაში ხორვატია — შვეიცარიას სჯობდა, მაგრამ ასეთი შეფასება იტალიისა და დანიის გუნდებისთვის დამაკმაყოფილებელი არანაირად არ უნდა იყოს. მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებისა, რომ „სკუადრა აძურა“ დიდ ტურნირებს მძიმედ იწყებს, სეირს და გოლს დახარბებული მაყურებლის თვალი მაინც მეტს ელოდა. ერთი სიტყვით, იტალიელებმაც და დანიელებმაც ამიერიდან ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად რომც უმატონ და ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ს ჯგუფის პირველი შეხვედრა ევროპის ჩემპიონატისა და საერთო სახალხო ზეიმის კვალობაზე მოსაწყენი გამოვიდა.

ვფიქრობთ, თუ ამ მატჩში ვინმემ თავი გამოიჩინა, უპირველეს ყოვლისა მეკარეები იყვნენ. როგორც იტალიელთა კარის მცველმა, ჯანლუიჯი ბუფონმა, ასევე დანიელმა გოლკიპერმა თომას სორენსენმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი წილი „0“ ტაბლოზე. განსაკუთრებით ამაღელვებელი კი ის მომენტი გახლდათ, როდესაც სორენსენმა ორმაგი რეაქციით აიღო ჯერ ალესანდრო დელ პიეროს და შემდეგ ფრანჩესკო ტოტის დარტყმები.

ტოტი ვახსენეთ... მოგეხსენებათ, „რომას“ კაპიტანი იტალიელ ქომაგთა საგანგებო იმედი გახლავთ და ალბათ, შორს არ ვიქნებით ჭეშმარიტებისგან თუ ვიტყვით, რომ ტიფოზები მისგან გაცილებით ვარსკვლავურ თამაშს ელიან. გუშინ რომაელმა გაიბრწყინა, როდესაც ნამდვილად ვარსკვლავის ღირსი მწვავე პასი მიაწოდა საჯარიმოში ჯანლუკა ძამბროტას, მაგრამ იქ იუვენტუსელმა ვერ იყოჩაღა. სხვა საქმეა, რომ ასეთ მომენტს ტოტისგან თამაშში სამ-ოთხს ელიან, ხოლო ის ეპიზოდი, როდესაც მან სიმულაციის გამო მსაჯს ყვითელი ბარათი გამოსტყუა, არ გვესიამოვნა: ფრანჩესკო ასე მაშინ იქცევა, როდესაც ნაღდი ფეხბურთით რაღაც არ გამოსდის, თორემ ახლახან მთელი საკლუბო სეზონი მიილია და რაღაც ვერ ვიხსენებთ ჩინებულად მოთამაშე რომაელს ადრინდელივით ესიმულიანტოს.

REUTERS გიმარაეშიდან

მაურო კამორანეზიმ თავი ახალი ვარცხნილობით გამოიჩინა

და კიდევ, რაც იტალიელებზე გვინდოდა გვეთქვა ის არის, რომ დანიელებთან შეხვედრაში „სკუადრა აძურას“ ყველაზე სუსტი რგოლი ნახევარდაცვა გახლდათ. რისი ბრალი იყო ეს? ვფიქრობთ, იმის, რომ ნახევარდაცვის შუაში მილანელები, ჯენარო გატუზო და ანდრეა პირლო კი არა, ინტერელი კრისტიანო ძანეტი და კიევოელი ჯანლუკა პეროტა თამაშობდნენ, მარჯვნივ მაურო კამორანეზიც ვერ იყო მაღალ უმაღლეს დონეზე, ხოლო მარცხნივ ნახევარმცველი, ფაქტობრივად, არც იყო — დაცვიდან ძამბროტას, თავდასხმიდან კი დელ პიეროს უნდა შეევსოთ სივრცეები.

დანიელთა შემადგენლობაში დისკვალიფიცირებული თომას გრავესენის ნაცვლად დანიელ იენსენი, ხოლო იესპერ გრონკიაერის მაგივრად დენის რომედალი თამაშობდნენ. „მილანის“ დანიელი თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი წინ წაწეული ებე სანდის დამხმარედ სიღრმეში ჰყავდა მწვრთნელს, მორტენ ოლსენს გამწესებული.

მატჩის შემდეგ იტალიელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ აღიარა, რომ დანიამ მისი ფეხბურთელები გვარიანად გააწვალა.

„ევრო 2004-ის სინამდვილე მთელი სიმკაცრით შემოვარდა ჩვენს ცხოვრებაში. უნდა ვაღიარო, რომ თამაში კარგად ვერ წავიკითხეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მეორე ტაიმში ცოტა გამოვასწორეთ მდგომარეობა, მაგრამ შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. მეტისმეტად სტატიკურები ვიყავით, განსაკუთრებით შეხვედრის გვიან სტადიაზე, როდესაც დაღლილობაც ამბობდა უკვე თავის სიტყვას“.

შემდეგ ტრაპატონიმ თავისი გუნდის შანსებზე გაამახვილა ყურადღება.

„ვნახოთ, რას იზამს ჩვენი ჯგუფის დანარჩენი ორი გუნდი და იმის მიხედვით გახდება რაღაცეების თქმა შესაძლებელი“.

მორტენ ოლსენი: „მართალია, ვფიქრობ, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ფრითაც კმაყოფილი ვარ. ბევრი მომენტი გვქონდა და თამაშსაც ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ვაკონტროლებდით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში“.

REUTERS გიმარაეშიდან

ებე სანდი და ალესანდრო ნესტა: ასეთი სურათი ხშირი იყო

ნაგებულების ქალაქი

ძაან მოსასმენი: ზიიიიზუუუუ!

გიო ახვლედიანი პორტუგალიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაივლის წლები და კოიმბრელი პუტკუნა გოგო ალეშანდრა ამარალი იმ შაბათ დღეს გაიხსენებს, როცა საგანგებოდ დაამთხვია თავისი ქორწილის დღე ევროპის ჩემპიონატის გახსნის თამაშს. ეს ყოველივე ალეშანდრამ იმიტომ მოიმოქმედა, რომ ქმრად ბერძენი ჯეილი, დემეტრიოსი შეხვდა. ალეშანდრა კი ყოველთვის გაიხსენებს, როგორ ეწყინა თვითონ და როგორ გაეხარდა მის ბერძენ ქმარს.

გახსნის თამაში უკვე კარგახნის ჩავლილია, სარბიელზე უკვე იტალიაც გამოჩნდა, მაგრამ ის სიჩუმე, პორტუში რომ იდგა შაბათ საღამოს, მართლაც შემზარავი იყო.

პორტუგალიელები ამტანი და რბილი ხალხია. ბარე ნახევარ საუკუნეს ერთი, თუნდაც მსოფლიოში ყველაზე რბილი და ამტანი კაცის დიქტატურას გაუძლეს და, ცხადია, გახსნის თამაშსაც გადაიტანდნენ, ერთი ეს არის, რომ აქაურებში განთქმული სპორტული გაზეთების სათაურებიც უფრო რიტორიკული იყო, ვიდრე სკოლარის წინააღმდეგ მიმართული.

პორტუგალიაში უძველესი საფეხბურთო გაზეთი „ა ბოლა“ პირველ გვერდზე სწორედაც რომ ფილოსოფიურ ძახილის ნიშანს გვაწვდიდა: რატომ, ღმერთო!

რატომ სკოლარიო კი არა, რატომ ღმერთოო.

საერთოდ კი, უბრალო ხალხის ბაგეთაგან ჭეშმარიტება ღაღადებს, მოდი, ტაქსისტები ვახსენოთ. ეს განსაკუთრებული კასტაა პორტუგალიის ორ დიდ ქალაქში: შეიძლება ითქვას, რომ იქ მოხვედრილი უცხო კაცის მესამე ხელია და თანაც პატიოსანი და ჯიგრიანი ხელი.

ჰოდა, ლისაბონელმა ტაქსისტმა ფაუსტომ, რომელსაც ოქროს ბეჭედიც ეკეთა და შავი ულვაშიც ჩვენებურად გადაეგრიხა მხარზე, მითხრა, მე ყოველივე ამას მოველოდიო.

— აი, უყურე: ნაკრებში „პორტუს“ და „ბენფიკას“ ექვს-ექვსი ფეხბურთელია. პირველ თამაშში ოთხმა პორტუელმა ითამაშა და არცერთმა ბენფიკელმა. რახან „პორტუ“ თასებს იგებს, მისი ფეხბურთელები ავტომატურად მაგრებად ითვლებიან, ამ დროს კი პორტუგალიური ფეხბურთის სიდიადე სწორედ „ბენფიკაა“.

სხვას რას იტყვის ლისაბონის დასავლეთ გარეუბნების მკვიდრი, რომლის მამა-პაპაც ალისფერებს ქომაგობდა?!

სინამდვილეში კი, სკოლარის პორტუელთა საამებლად არ გამოუყვანია პორტუელები. ისინი მართლაც უკეთესნი არიან, თუმცა ისიც ცხადია, რომ მათ თავიანთ თავიანთ მშობლიურ სტადიონზე მუხლები აუკანკალდათ. ვთქვათ, კოშტინიას, საბრალოდ საცქერს.

ახლა ლისაბონის ქუჩებში ამბობენ, რომ .ათიოდ დღე დარჩა იმის დასამტკიცებლად, რომ მსოფლიოს ჩემპიონი რონალდო და რონალდინიო გახდნენ და არა სკოლარი.

მე კი მინდა, ერთი ლონდონელი ტაქსისტის არანაკლებ რიტორიკული შეკითხვაც გავიხსენო:

იცით, რაშია ინგლისური ფეხბურთის ტრაგედია? იმაში, რომ ემილ ჰესკის ბარე ორმოცჯერ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში და კვლავაც ითამაშებს, მანამდე ითამაშებს, სანამ სვენ გორან ერიკსონს ჰგონია, რომ დაღლილ უეინ რუნის დასვენებული ემილი ჰესკი სჯობს, ვინაიდან სამწვრთნელო წესი გულისხმობს დაღლილი ფეხების ახალი ფეხებით ჩანაცვლებას. ოღონდაც, სამწვრთნელო წესებს იქით უზარმაზარი და ნამდვილი ფეხბურთიც არსებობს.

ამასობაში კი მივადექით მთავარ ადგილს.

სიმართლე ითქვას, მე მგონია, რომ ინგლისში მხოლოდ დედოფალი ელისაბედი და ქალები დარჩნენ. ვინც კაცია, ვისაც თუნდაც სახეიბრო ეტლით გადაადგილება შეუძლია, ყველა აქაა. ოღონდაც, ხულიგნობა ჯერ არ ყოფილა, ხულიგნებზე იზრუნეს. თუმცა, როდემდე გასტანს ეს ზრუნვა, ძნელი სათქმელია.

გუშინ ლისაბონის ტერიტორიაზე ათიდან ათ დუქანში ინგლისელები ისხდნენ, ათიდან რვა ტაქსი ინგლისელებს ეკავათ, ათასიდან ცხრაასი კაცი ინგლისელი იყო: წვევამდელი ასაკიდან, თეთრწვერა მოხუცამდე.

გუშინ ლისაბონში ყველა ქუჩის კუთხეზე ინგლისელები ტრიალებდნენ, ყველა დიდ მოედანზე მათი დროშები ფრიალებდა და მათი ლუდი ისმებოდა: დილიდან დაღამებამდე.

თვით „ლუზის“ (ეშტადი დუ ლუზ — ასე ამბობენ) ტერასებზე გადმოფენილი იყო ხუთასამდე ინგლისური დროშა და მხოლოდ ათიოდე ფრანგული. ინგლისელებმა ლამის ცხენიდან ჩამოაგდეს პედრო მეოთხე და თვითონ ამხედრდნენ ამ კეთილი მეფის სახელობის მოედანზე აღმართულ ქანდაკებაზე. ინგლისელებმა თავიანთი დროშა აფრიალეს ცხრამეტი ოქტომბრის ობელისკზე და იქ ლუდის ტბორები დააყენეს. ინგლისელებს ძალიან უყვართ პორტუგალია და პორტუგალიის მზე. ისინი იხრუკებოდნენ კიბორჩხალებივით და მღეროდნენ, დილიდან მანამდე, სანამ უკანასკნელს არ ჩაეძინა.

დილის ექვს საათზე მე ვნახე ორიენტეს სადგურის ფილაქანზე დროშებში გამოხვეული ფეხშიშველა წვევამდელები და პახმელიასთან შეურიგებელი მოზვერივით ძიაკაცები. ახლა რომ ინგლისს ვინმე დაესხას თავს, ქვეყანაში თოფის დამჭერი არ მოიძებნება.

ყველა მატარებელში, ყველა ავტობუსში, ყველა სასტუმროში ინგლისელები არიან. საკვირველია, მაგრამ იქაც, სადაც მათი გუნდი სათამაშოდ არ ჩადის.

და ინგლისელებმა წააგეს. თანაც ისე, რომ კარგად ითამაშეს და იგებდნენ.

ფრანგები იყვნენ ბევრად ცოტანი და მათი ზეიმი მართლაც მოხდენილი იყო. ალეს ლა ფრანს! აი, შეძახილი, რომლის ხმაზეც დადუმებული ინგლისური ათასეულები ალისფერ „ლუზს“ ტოვებდნენ.

ძაან მოსასმენია ოცწუთიანი: ზიზუ! ზიზუ! ზიზუ!

არ მთავრდებოდა ეს ზიზუ და არც უნდა დამთავრებულიყო, რადგან არ უნდა დამთავრებულიყო.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ზიზუ და ეს მშვიდი, მჯდომარე და თევზივით მაცქირალი სვენ გორან ერიკსონი.

პატარა რუნი, ვინც თამაშის ბედი გადაწყვიტა, მაგრამ ფაბიენ ბარტეზმა არ გადააწყვეტინა. რომ გამოვტყდე, სწორედ „ლუზზე“ მიცვდი, რატომ უყვართ ასე თავიანთი მეკარე ფრანგებს. ბარტეზი სწორედ რომ იმ კვიმატი ფრანგული ხასიათის განსახიერებაა, გარგანტუასა და კოლა ბრუნიონისკენ რომ მივყავართ.

მატჩის გმირი ის იყო. თქვენ რაც გინდა ისა თქვით, კაცმა ცხვირით მოიგერია ბურთი, მანამდე კი ხელით — პენალტი, რომელიც ალბათ სტივ ჯერარდს უნდა დაერტყა და არა იმ კაცს, რომელმაც რაღაც უცნაური საფეხბურთო ხერხები შექმნა: მთელი თამაში დგას და ორ საგოლე გადაცემას კი აკეთებს. ეს გადაცემები კი თამაშის ბედს წყვეტს. ზოგჯერ, რა თქმა უნდა.

გამკეთებელმა კი ეს არაერთხელ გააკეთა: მსოფლიოს თასის ფინალშიც, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც.

ზიზუმ ისე გახედა კარს, რომ...

დამთავრებული, მოგვარებული თამაში, ანრის ზედმეტი სირბილი, ჩამქრალი პირესი, უკვე შეცვლილი, ნერვებაშლილი ვიეირა. სწორიც ეს იყო, რომ ჯარიმა ანრიმ არ დაარტყა.

ლისაბონში ცხელოდა.

ახლა პორტუშიაც ცხელა. ქალაქს ნელ-ნელა იკავებენ ჰოლანდიელები, ვინაიდან, როცა ამ წერილს წაიკითხავთ, ჰოლანდიის ნაკრები უკვე მზად იქნება გერმანელებთან სათამაშოდ. აქ არიან დანიელებიც და გერმანელებიც. რა თქმა უნდა, ინგლისელებიც, რომლებმაც, მგონი, კურორტისა და გულშემატკივრობის ახალი ფორმა აღმოაჩინეს და ყველანი ესენი დადიან ნახევრადშიშვლები და ეფიცხებიან მზეს.

აქაური მზე კი მწველია. არსებობს ხერხი აქაურ სიცხეებთან ქუჩაში ბრძოლისა. თუ მას მოიხმარ, არასოდეს შეიქნები გასაწური: ქუჩაზე ყოველთვის ჩრდილის მხარეს უნდა იარო და თანაც იმგვარი ტაატით, მხოლოდ პორტუგალიელებს რომ შეუძლიათ.

პორტუმ დღესაც იგრძნო, რომ ჩემპიონატი დაიწყო. ის შაბათი მართლაც ძალიან უცნაური იყო. კაფე იგივეა, რაც თბილისში ბირჟა. ცარიელი კაფე კი იგივე, რაც გაჭრილი სამარე.

დღეს კაფეები ღიაცაა და სავსეც, თუმცა „დრაგაუს“ პრეს-ცენტრში არავინაა, ყველანი დღის ორ თამაშზე გაიკრიფნენ.

ჩვენ კი, რომ გავიგოთ ფეხბურთისა და პორტუგალიის დამოკიდებულება, სამი ფ-ს ამბავს უნდა მოვყვეთ. იყო დრო, რომ დიქტატორი სალაზარი ამ სამი ფ-ს განუწყვეტელი მოხმობით არწმუნებდა პორტუგალიელებს, რომ ისინი ამაყნი და ბედნიერნი უნდა იყვნენ. ესენია ფატიმას ღვთისმშობელი, ფეხბურთი და ლისაბონური ქალაქური სიმღერა ფადო.

თუმცა ამ სამის ურთიერთკავშირსაც სხვა დროს მოვყვეთ, მაშინ, როცა პორტუგალია რუსეთს დაამარცხებს.

დაბირჟავეთ და ილაპარაკეთ ფეხბურთზე!

ბარტეზმა ინგლისს ბევრი ასწავლა

სილვესტრის მადლობა მსაჯს

ეჭვი არ არის, საფრანგეთის და ინგლისის 13 ივნისის დაპირისპირება სამუდამოდ შემორჩება გულშემატკივართა მეხსიერებას, ხოლო ის, რასაც გთავაზობთ, კერძოდ კი მის მონაწილეთა მოსაზრებები, ამ წუთას არის ყველაზე აქტუალური



დევიდ ბექემი

ვფიქრობ, დამარცხების ღირსნი არ ვიყავით, მოგებას ვიმსახურებდით. 89 წუთის განმავლობაში ჩინებულად ვთამაშობდით და ვინ იცის, მე რომ პენალტი გამეტანა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. ახლა, ერთადერთი, რაც იმ პენალტთან დაკავშირებით შემიძლია გავაკეთო ისაა, რომ ხელებს ავწევ და ბრალს საკუთარ თავზე ავიღებ.

ისე კი, ამ თამაშმა ბევრი რამ უნდა გვასწავლოს, ხოლო უპირველეს ყოვლისა ის, თუ როგორ უნდა ეთამაშო მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს და როგორ უნდა დაამარცხო მთელი 90 წუთის ჯამში. დღეს მოედანზე ბევრი ახალგაზრდა ბიჭი გვყავდა, რომლებიც ისე იბრძოდნენ, გეგონება, ამ დონეზე უკვე წლობით ეთამაშოთ.

რაც შეეხება ბარტეზს, კვლავ ხელები ამიწევია. არა მგონია, რომ უკეთ შემძლებოდა დარტყმა, უბრალოდ, მეკარემ წაიკითხა ყველაფერი. არადა, რა სამწუხაროა, 2:0 გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა. რას იზამ, ასეთია ფეხბურთი.

ფაბიენ ბარტეზი

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ბექემის პენალტი შემთხვევით მოვიგერიე, მაგრამ შემთხვევა ბურთისკენ სწორად ვერ გადავახტუნებს. ეს უფრო ქანცგამწყვეტი ვარჯიშების შედეგია. 11 მეტრიდან გამოფრენილი ბურთი საით წავა, წინასწარ არასდროს იცი, დარტყმის შემდეგ ინსტინქტი ირთვება. ამ შემთხვევაში გამოვიცანი და სწორად გადავხტი, არადა 2:0-ზე ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდათ, რომ ინგლისელებს გოლები ბარტეზმა კი არა, ზიდანმა გაუტანა.

დევიდ ჯეიმსი

ზიდანმა გამომიჭირა, ნაბიჯი მარცხნივ გადავდგი, ამ დროს დარტყმის წამი გამეპარა და ბურთს ველარ მივუსწარი. წესის დარღვევის დროს კი ასეთი არჩევანის წინაშე ვიდექი: ან უნდა ვმდგარიყავი და მეცქირა, როგორ გააქვს ანრის გოლი, ანაც გამოვსულიყავი და ხელი შემეშალა, ცხადია, პენალტის რისკით. მე მეორე გზა ვამჯობინე".

ზინედინ ზიდანი

ჩვენსა და ინგლისს შორის განსხვავება ფაბიენ ბარტეზი გახლდათ. მან 0:1 შეინარჩუნა, რათა ჩვენ გამარჯვება გამოგვეგლიჯა მეტოქისთვის ხელიდან. ნამდვილი გუნდური სულისკვეთება ასეთ დროს ყალიბდება.

სტივენ ჯერარდი

მთელ მსოფლიოში ასეა, ერთი ადამიანის შეცდომის გამო გუნდი ისჯება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ბურთი უკან იმიტომ გადავაგდე, რომ ანრი არ დამინახავს. ეს ჩემი შეცდომა იყო, თუმცა ახლა, შვეიცარიელებთან შევეცდებით მის გამოსწორებას.

მიჯაელ სილვესტრი

რუნი რომ წავაქციე, მეგონა მსაჯი მოედანზე [illegible] მხოლოდ და მხოლოდ ყვითელი ბარათი რომ ფაულისთვის, [illegible] შვა. მე ბოლო კაცი ვიყავი. იქნებ მსაჯები უფრო ლმობიერები გახდნენ?

სვენ გორან ერიასონი

ტაქტიკურად კარგად ვითამაშეთ, ანგარიშიც გავხსენით, მაგრამ ბოლოს ჩათვალეთ, რომ საქმე უკვე მოთავებული იყო, არადა, უნდა მოგვეგო.

საერთოდ კი, ფრანგების გაკონტროლება ძნელია, რადგან თავდასხმაში ისინი ძალიან მრავალმხრივად თამაშობენ. სხვა საქმეა, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში მეტოქეს ძალიან ცოტა მომენტი ჰქონდა, ამაში ვერავინ შემედავება.

კმაყოფილი ვარ ახალგაზრდებით. ლედლი კინგი შეუდარებელი იყო, თითქმის არც უნერვიულია, უეინ რუნი ბოლოს დაიღალა, მაგრამ მაინც მოიპოვა პენალტი და სულ სახიფათოდ თამაშობდა.

ახლა რომ მითხრან, ეს თამაში გაიმეორეო, ტაქტიკაში არაფერს შევცვლიდი.

ჭაჯ სანტინი

ხშირად გვეკითხებოდნენ, რამდენად მზად ვართ ჩემპიონატისთვის. მგონი ამ თამაშის შედეგმა ყველაფერს პასუხი გასცა, თუმცა ინგლისელებმა გვარიანი ოფლი გვადინეს. ჩემმა ფეხბურთელებმა სამი ქულის მოსაპოვებლად საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნეს.

ბარტეზმა პენალტი რომ აიღო, ამან გადაგვარჩინა. იმავდროულად ეს ინგლისელებისთვის დიდი დარტყმა იყო.

წავალ და პურის კალათაში ჩავყოფ თავს

რა მნიშვნელობა აქვს სად, ლონდონში, კროიდონში, პლიმუთში, დონკასტერში თუ სულაც ლისაბონში, როგორც კი ევრო 2004-ის პირველი დიდი და უკიდურესად დრამატული მატჩი, საფრანგეთ — ინგლისი დასრულდა, „სანის" კორესპონდენტები ქუჩებს მოედნენ და ბოლოწამს წაგებით დაზაფრულ თანამემამულეებს თითო წინადადებით გამოათქმევინეს აზრი.

და რა მნიშვნელობა აქვს, 26 წლის ალან სტივენსონი იყო, 42 წლის ჯონ ჯეკსონი თუ ვინმე სხვა, მათი პასუხები გამოქვეყნების ღირსად ჩაითვალა.

თითხმეტი წელიწადია ინგლისის ნაკრების ყველა თამაშს ვუყურებ და ასე ცუდად, დღეს რომ ვარ, არასდროს ვყოფილვარ. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს თუთიყუშებით სავსე გალია ვიყო, მაგრამ არა უშავს, ჩვენ დავბრუნდებით.

მთელი თამაშის განმავლობაში ცხენივით ვყვიროდი და აი... არა უშავს, მწამს, რომ აქედან ამოვალთ.

პენალტის მომენტი რომ დავინახე, უცნაური გრძნობა დამეუფლა. თუკი ამქვეყნად ვინმემ იცის როგორ არტყამს ბექემი პენალტს, მათ შორის ბარტეზიც არის. ახლა შინ მივალ და თავს პურის კალათაში ჩავყოფ.

გავგიჟდი. ბოლოწამს დამარცხება ჩვეული ამბავი გახდა და ფრანგებმაც ჩვენით ჩაიტკბარუნეს პირი.

შოკში ვარ. მეზიზღება წაგება, განსაკუთრებით ფრანგებთან. ერთადერთი, რისი იმედიც ახლა მაქვს, ის არის, რომ ვინმე კარგი გოვო მიმადებინებს თავს მკერდზე, იქ რომ ვიტირო".

ჩვენ გამარჯვების ღირსნი ვიყავით. თუ ბიჭები ასე განაგრძობენ, მაშინ ჯერ ყველაფერი წინ არის.

შემდეგ ორ თამაშში და ფინალამდე მთელ გზაზე განსაკუთრებული მონდომებით უნდა ვუქომაგო ჩვენებს.

ფრანგებმა კლასიც გვაჩვენეს და გამარჯვების სურვილიც, მაგრამ გამარჯვებულები მაინც ჩვენ დავრჩებით.

ცხოვრებაში პირველად დავესწარი ნაკრების თამაშს და მართალია, წავაგეთ, მოხიბლული დავრჩი. ჩემი საქმრო ამბობს, რომ შვეიცარიას და ხორვატიას მოვუგებთ. იმედი მაქვს, მართლაც ასე იქნება. მინდა ჩვენების მონაწილეობით ფინალსაც დავესწრო.



D ჯგუფი. I ტური. დღეს

პორტუ. დრაგაუ. 23.45

გერმანია – ჰოლანდია

სავარაუდო შემადგენლობები

კანი; ფრიდრიხი, ვიორნსი, ნოვოტნი, ლამი; შნაიდერი, ბაუმანი, ჰამანი, ბალაკი, ფრინგსი; კურანი	ვან დერ სარი; რაიციგერი, ბუმა, სტამი, ვან ბრონკჰორსტი; დავიდსი, კოკუ, სნეიდერი; ვან დერ მეიდე; ვან დერ ვაარტი, ვან ნისტელროი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

რას აჩუქებენ კანს დღეობაზე?



რუუდ ვან ნისტელროი

ოლივერ კანი ვარჯიშზე თავს არ ზოგავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიისა და ჰოლანდიის დაპირისპირება მსოფლიოში გამორჩეულთაგანი რომ არის, 30 წლის წინანდელი ამბიდან იღებს სათავეს. მაშინ ისინი, ოღონდ გერმანიას განსაზღვრებად დასავლეთი ჰქონდა წამძღვარებული, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და გერმანიამ ის ფინალი 2:1 მოიგო.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღევანდელი მატჩის წინ, ამ თითქმის თანაბარძალოვან გუნდებს შორის, მცირე უპირატესობას მაინც ჰოლანდიელებს ანიჭებენ.

მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში ბუნდესნაკრებმა ხალხს თავი ვერაფრით მოაწონა. ვერ მოაწონა კი არა, ჯერ რუმინეთთან შერცხვა 1:5, სულ ბოლოს კი უნგრეთთანაც წააგო. ისე, ერთი კვირის წინ ჰოლანდიაც დამარცხდა ირლანდიასთან, მაგრამ იმ წაგებას ნაკლები გამოძახილი მოჰყვა.

მაგრამ მეორე მხრივ, გერმანია ყველაზე სტაბილურ გუნდად რჩება მსოფლიოში და მოკლევადიანი ტურნირებისთვის საბრძოლოდ განწყობა მისებრ არავის ეხერხება. ანუ, შესაძლოა, გერმანიამ ცუდად ჩაატაროს შესარჩევი ციკლი, წააგოს ამხანაგური მატჩები, მაგრამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გერმანია ყოველთვის გერმანიაა. ამასვე ამბობს ბუნდესნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერი: „ბოლო ერთ წელიწადში ჩვენ გამოსარჩევი არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. გერმანიის ნაკრებმა ყოველთვის იცის, როგორ უნდა მოემზადოს ასეთი შეჯიბრებისთვის“. სხვათა შორის, ფიოლერს თავად ხუთჯერ უთამაშია ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ და ორი გოლიც გაუტანია. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ის და ფრანკ რაიკარდი წყვილადაც გააძევეს მოედნიდან.

დღეს გერმანია 4-5-1 სქემით ითამაშებს, რომელშიც ერთი ფორვარდის ადგილი კევინ კურანისთვისაა დაბეებული.

ჰოლანდია კი 4-3-3 სისტემით აპირებს თამაშს და იმ სამი თავდამსხმელიდან ერთი ისეთია, გერმანელ მცველებს წესით, სისხლი რომ უნდა გაუშროს — რუუდ ვან ნისტელროი.

ჰოლანდიის ნაკრებში ერთი კლარენს ზეედორფის თამაშია სათუო. მას ტრავმა აწუხებს და დროულად თუ ვერ მომჯობინდა, ამსტერდამის „აიაქსის“ 19 წლის ნახევარმცველი უესლი სნეიდერი შეცვლის.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ დღეს ოლივერ კანის დაბადების დღეა.

კოტე კეკელია

ლატვია ჩეხებს არ აეჩეხვინება

სტარკოვსი მოგებას ან ფრეს ელის

დებიუტანტი ლატვია დიდ ტურნირში პირველ გამოცდას ჩეხებთნ ჩააბარებს. კარლ ბრუკნერი ტარვმებს არა, მაგრამ ალგარვეში ჩასვლის დღიდან სიცხეს უჩიოდა. ამიტომაც ურჩია ფეხბურთელებს, ვარჯიშისგან თავისუფალ დროს სასტუმროს ჩაგრილებული ნომრებიდან მზის გულზე ნუ გახვალთო.

აწ უკვე „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხი: „ორი კვირა შესანიშნავ პირობებში ვივარჯიშეთ, კარგად მოვემზადეთ და ახლა მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. ლატვიასან აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რადგან გერმანიასთან და ჰოლანდიასთან ძალიან გაგვიჭირდება“.

პაველ ნედვედი: „ლატვია გრანდი არაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას იოლად ვაჯობებთ. ძალების სრული მობილიზება დაგვჭირდება. თავად ნახეთ, საბერძნეთმა პორტუგალიას როგორ მოუგო. აქ სუსტი გუნდები არ არიან. ცხადია, სასიხარულოა, პირველ მატჩში ლატვია რომ გვერგო, მაგრამ მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობა არ ეგების“.

ბალტიისპირელების მარცხენა ნახევარმცველი იურის ლაიზანსი მსუბუქად ტრავმირებულია, ამიტომ გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა. მწვრთნელი ალექსანდრს სტარკოვსი დღევანდელ მატჩს დიდი სიხარულით ელის: „სანამ მოედანზე სათამაშოდ არ გავალთ, მიჭირს დავიჯერო, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვართ. ჩვენ, როგორც დებიუტანტებს, დასაკარგი არაფერი გვაქს და შევეცდებით, გულშემატკივრებს კარგი ფეხბურთით დავამახსოვროთ თავი. ბერძნებმა დაამტკიცეს — თუ მოინდომებ, შეუძლები არაფერია.

ჩვენთვის ჩეხებთან მოგება ან ფრე იქნება მხოლოდ კარგი შედეგი“.

ლატვიელთა კარში ალექსანდრს კოლინკო ჩადგება. დაცვის ცენტრს მიხაილს ზემლინსკისი და იგორს სტეპანოვსი ჩაიბარებენო. სტეპანოვსი ლონდონის „არსენალში“ თამაშობდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. მარცხენა მცველობას ოლეგს ბლაგონადეჟნისი გასწევს, მარჯვნივ კი მწვრთნელის ასარჩევია — ზირნისი გაამწესოს და თუ უფრო შემტევი ისაკოვსი.

ჩეხთა ლიდერები: პაველ ნედვედი და ტომაშ როსიცკი

D ჯგუფი. I ტური. დღეს

ავეირუ. მუნისიპალი. 21.00

ჩეხეთი – ლატვია

სავარაუდო შემადგენლობები

ჩეხი; გრიგერა, ბოლფი, უიფალუში, იანკულოვსკი; პობორსკი, გალაშეკი, როსიცკი, ნედვედი; კოლერი, ბაროში	კოლინკო; ზემლინსკისი, სტეპანოვსი, ისაკოვსი, ბლაგონადეჟინსი; ბლეიდელისი, ასტაფიევსი; პახარსი, რუბინსი; ვერპაკოვსკისი, პროხორენკოვსი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)



ალექსანდრს სტარკოვსი



კარელ ბუკნერი

საყრდენობას ვალენტინს ლობანიოვსი იკისრებს, ხოლო ვიტალის ასტაფიევსი.

საყრდენობას ვალენტინს ლობანოვსი იკისრებს, ხოლო ვიტალის ასტაფიევსი — გამთამაშებლობას. ფლანგებს ანდრეის რუბისნი და იმანტს ბლეიდელისი დაიკავებენ. მარის ვერპაკოვსის შეტევაში ადგილი გარანტირებული აქვს, მისი მეწყვილე კი ალბათ მარიანს პახარსი იქნება. „უზომოდ გამიხარდება, თუ პირველივე მატჩში გოლს გავიტანთ“ — თქვა ალექსანდრს სტარკოვსმა.

ვაჟა ხუციშვილი

EURONEWS

ერეკლეს ბიბლიოთეკა

სტამი ქოფაკი ძალლია
კურანის შანსი ჰასია

დღეს დიდი მატჩია, გერმანია ჰოლანდიის წინააღმდეგ. რუდი ფიოლერი ბუნდესნაკრებს ერთი თავდამსხმელით ათამაშებს და ამ თავდამსხმელს მთელი გერმანია იმედით შეჰყურებს — თუ ჰოლანდიისთვის ვინმე გოლის გამტანია, უპირველესად, სწორედ ეს თავდამსხმელი უნდა იყოს. მოკლედ, ლაპარაკია კევინ კურანზე, რომელსაც „კიკერმა“ ინტერვიუ ჩამოართვა

— მთავარი კითხვით დავიწყოთ, რას ველით ამ მატჩისგან?

— მგონია, რომ ჰოლანდიის ნაკრები ჩვენი სარკე იქნება. ამ მატჩისას გამოჩნდება, რისი უნარი გვაქვს და საერთოდ, ჩავითვლებით ჩემპიონობის ფავორიტებად თუ არა. რა თქმა უნდა, მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავს და ეს ერთი მხრივ კარგიცაა, მასთან უკეთ გამოჩნდება ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები.

— ბოლო სანაკრებო გოლი შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში გაიტანეთ. ევროპის ჩემპიონატზე ბევრი გოლის გატანის იმედი გაქვთ?

— რაოდენობა მთავარი არ არის, ჯობია, ერთი გავიტანო და იმ ერთი გოლით გადამწყვეტი მატჩი მოვიგოთ.

— ეს თქვენთვის პირველი დიდი ტურნირია, თან პირველივე მატჩში უძლიერესი მეტოქე გყავთ. არ გეშინიათ?

— ასეთი დონის სანაკრებო მატჩში აქამდე მართლაც არასდროს მითამაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმნიშვნელოვანეს მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება არ მაქვს და დიდი გუნდებისთვის გოლი არ გამიტანია. ამიტომ რაიმე განსაკუთრებულ მღელვარებას არ ვგრძნობ.

— დღეს უთუოდ შეადარებენ, კურანი უკეთ ითამაშებს თუ რუუდ ვან ნისტელროი. თან მას ფრანგ ტიერი ანრისთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობასაც უწინასწარმეტყველებენ...

— იმით დავიწყებ, რომ ვან ნისტელროის დასამტკიცებელი არაფერი აქვს, მან დიდი ხანია დაამტკიცა, რომ დიდი ფორვარდია. ისე, პირადად მე ანრი უფრო მომწონს. მას საგოლე მომენტის შექმნაც შეუძლია, ვან ნისტელროი კი უფრო საჯარიმოს მოთამაშეა. რაც შეეხება ბომბარდირობას, მათ დავაში ეგებ მეც ჩავერიო.

— როგორ?

— როგორ და, ბურთი მრგვალია. თუ გუნდური თამაში ავაწყეთ და პასები მივიღე, სხვაზე ნაკლებად, გინდათ, თავით და გინდათ, ფეხით, არც მე ვურტყამ.

— სხვათა შორის, ამბობენ, რომ ვან ნისტელროის ტიპის თავდამსხმელი ხართ...

— ალბათ. თან ვფიქრობ, მასზე უფრო მოძრავი ვარ, თუმცა ვან ნისტელროისაც ჩემთან შედარებით სხვა უპირატესობები აქვს.

— ბოლო ხანს თვალნათლივ ჩანს, რომ გერმანიის ნაკრებს თავდასხმაში პრობლემები აქვს...

— გეთანხმებით. წინა თაობების ნაკრებებში უფრო მეტი გოლი გაჰქონდათ. პრობლემის მთავარი მაჩვენებელიც ესაა, თუმცა ეს პრობლემა დღეს არ წარმოქმნილა. გაიხსენეთ, ბოლო სეზონებში ბუნდესლიგაში ძალიან ცოტა გოლი გადის. ამასთანავე, ნახევარმცველების გატანილი გოლების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

— დღეს თქვენი მეურვე იან სტამი იქნება, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მის წინააღმდეგ რა შანსი გაქვთ?

— სტამის ბოლო ორ თამაშს, კლუბშიც და ნაკრებშიც, ვიდეოფირზე ვუყურე და დეტალურად გავარჩიე. სიმართლე გითხრათ, მის თამაშში წუნის პოვნა ძალიან ძნელია, ქოფაკი ძაღლივითაა. თავით უნაკლოდ თამაშობს, გამოცდილებაზე აღარაფერს ვამბობ. მგონია, რომ სტამი სისწრაფის ხარჯზე უნდა დავჩაგრო. ასაკი შეეპარა და ისეთი მოძრავი ვერ არის. სისწრაფე ჩემი კოზირია.

— 10-ნომრიანი მაისურით თამაში ბუნდესნაკრებში განსაკუთრებული პატივია და ის თქვენ გერგოთ...

— გულახდილად გეუბნებით, ნებისმიერ ნომერზე თანახმა ვიყავი, მთავარი ხომ, ნაკრების მაისურაა და არა ნომერი. თუმცა მაინც ვთვლი, რომ 10-ნომრიან მაისურას ღირსეული მფლობელი ჰყავს.

— ჰოლანდიას თუ მოუგებთ ჩემპიონობის შანსი გაგეზრდებათ?

— შანსს არც წაგების შემთხვევაში ვკარგავთ, მაგრამ პირველი მატჩის მოგება და თანაც ჰოლანდიასთან, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ამიტომ გარწმუნებთ, ეს თამაში კი არა, დაუნდობელი ბრძოლა იქნება და დიდი შანსია, მთელი ჩემპიონატის საუკეთესო მატჩიც იყოს.

არ იდარდოთ ჰოლანდიაზე
ბეკენბაუერმა სვეტურად ილაპარაკა

ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, თუ ჰოლანდიელები გერმანელების წინააღმდეგ თავიანთ საუკეთესო თავდამსხმელებს არ ათამაშებენ, საკუთარ თავს თავად დაამარცხებენო.

ეს მოსაზრება „კაიზერ ფრანცმა“, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, მსოფლიოს ჩემპიონმა ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ტიტულისა და სახელის მფლობელმა, გაზეთ „ბილდში“ გამოაქვეყნა, სადაც სვეტს წერს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ჰოლანდიამ გერმანიის დასამარცხებლად აუცილებლად უნდა მიმართოს იარაღს, რუუდ ვან ნისტელროი რომ ჰქვია. თუმცა...

„თუ დიკ ადვოკაატი, როგორც თქვა, 4-3-3 სისტემას დაუბრუნდება, ვან ნისტელროი ერთადერთ წინ გაწეულ თავდამსხმელად ეყოლება და ამით საკუთარ უპირატესობას გაანიავებს. რუდი ფიოლერს კი ჰოლანდიელებზე დარდი საერთდ არ სჭირდება. შესაძლოა, მათ უკეთესი თავდამსხმელები ჰყავთ, მაგრამ ჩვენ გაცილებით დაბალანსებული ნახევარდაცვა გვყავს და გუნდად გუნდიც ჩვენი სჯობია. მოკლედ, დასამალი ნამდვილად არაფერი გვჭირს“.

პაპუნა კედია

ექვსი უნდა მოშორდეს
ბარიჩმა საფრანგეთი გამოტოვა

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი, ოტო ბარიჩი სახუთშაბათოდ ანუ ფრანგების დასახვედრად გადახალისებული გუნდის გამოყვანას ფიქრობს. მოგეხსენებათ, ხორვატებმა კვირას შვეიცარიელებთან საკმაოდ უნიჭო ფეხბურთი ითამაშეს და უსახური 0:0 მიიღეს.

„ექვსმა ფეხბურთელმა ვერ გაამართლა ჩემი იმედი. მათ სლოვაკეთისა და დანიის ნაკრებების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრებში კარგად ითამაშეს, მაგრამ შვეიცარიასთან მოსალოდნელზე გაცილებით ცუდად გამოიჩინეს თავი“ — თქვა ბარიჩმა გუშინ დილით ხორვატთა საწვრთნელ ცენტრში შეკრებილი ჟურნალისტების წინაშე.

ხორვატიამ შვეიცარიასთნ შეხვედრაში სულ ერთი-ორი მომენტის შექმნა მოახერხა და ვერც იმით ისარგებლა, მსაჯმა მეტოქეს ნახევარმცველი იოჰან ფოგელი რომ გაუძევა მოედნიდან.

ოტო ბარიჩი 71 წლისაა. მას გადაწყვეტილი აქვს ფრანგებთან ახალი ფეხბურთელები გამოიყვანოს, თუმცა კერძოდ ვინ იქნება ახალი, არ დაუზუსტებია. სხვა ამბავია, რომ სააგენტო „ჰინამ“ შეიტყო და გაავრცელა ცნობა, რომ ხუთშაბათს მოედანზე აღარ იქნებიან მცველი იოსიპ შიმუნიჩი, ნახევარმცველი ნენად ბილიცა და „ბენფიკას“ თავდამსხმელი ტომისლავ შოკოტა.

ბარიჩმა სრულიად გულწრფელად განაცხადა ისიც, რომ ხორვატებს ფრანგებთან შეხვედრაში გამარჯვების ძალიან ცოტა შანსი აქვთ, სამაგიეროდ:

„ვიმედოვნებ, რომ ინგლისს გავაკვირვებთ“ — ბრძანა ხორვატმა სპეციალისტმა. ცნობისთვის ხორვატია ინგლისს 21 ივნისს ხვდება.

პაპუნა კედია

იოსიპ შიმუნიჩი

პორტუგალია ორ ხმაში

ევრო 2004-ის მასპინძელმა პორტუგალიამ გახსნითი შეხვედრა ოტო რეჰაგელის ბერძნებს დაუთმო და ამით სატურნირო ვითარება ფრიად გაირთულა. სკოლარის ბიჭებს ჩემპიონატზე მეორე ტურის შეხვედრა რუსეთის ეროვნულ გუნდთან უწევთ და A ჯგუფიდან გასაღწევად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ. საბერძნეთთან შერცხვენის მიუხედავად, პორტუგალიელები, ნუნუ გომეში და სიმაო საბროსა იმედიანად არიან რუსებთან უცილობელ მოგებაზე საუბრობენ

ნუნუ გომეში

—საბერძნეთთან მატჩის შემდეგ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თქვა, რომ თქვენი დამარცხება ნერვულმა დაძაბულობამ განაპირობა. როგორ ფიქრობთ, გეყოფათ სულიერი სიმტკიცე, რათა რუსებთან და ესპანელებთან დაპირისპირებას ღირსეულად შეხვდეთ?

სიმაო საბროსა: საბერძნეთის ნაკრებზე ბევრი რამ გვსმენოდა, თუმცა მოულოდნელობანი ვერ გავითვალისწინეთ და ეს ანგარიშზეც აისახა. თავიდანვე ისეთი შეცდომები დავუშვით, რომელთა გამოსწორება ან უკიდურესად ძნელია, ან საერთოდ ვერ შეუძლებელია. ცხადია, დაძაბულობამაც იმოქმედა. იმედია, დარჩენილ მატჩებში მსგავსი პრობლემები არ შეგვაწუხებს.

ნუნუ გომეში: მგონი, ჯგუფური ეტაპის დარჩენილ მატჩებში, პირველისგან განსხვავებით, უკეთ ვითამაშებთ. მწვრთნელი მართალს ამბობს — წინასამატჩო დაძაბულობა დიდი იყო. ფეხბურთს ასეთი რამ ახასიათებს. ცხვირის ჩამოშვებას და წაგებაზე ფიქრს კი არავინ აპირებს — რუსებს მთელი ძალით ვეთამაშებით და იმ დღეს გულშემატკივრებს აუცილებლად გავახარებთ.

— 12 ივნისის მატჩში წაბორძიკებამ 10 მილიონზე მეტ პორტუგალიელს ჩაუმწარა ევრო 2004-ის სადებიუტო დღე...

ნუნუ გომეში: როგორც ყველა ჩვენს თანამემამულეს, ცხადია, გამარჯვება ძალიან გვსურდა. მერწმუნეთ, 3 ქულის დაკარგვა ძალიან მძიმედ განვიცადეთ.

სიმაო საბროსა: ეს წაგება ჩვენთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი ქომაგისთვის, საშინელი დარტყმა იყო. შეხვედრის მერე ტრიბუნები დადუმდნენ, თუმც ჩვენს გულშიც არანაკლები ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ბედნიერი ვიქნები, თუ რუსებთან დამავჯერებლად გავიმარჯვებთ და პორტუგალიის ნაკრების თამაშით აღტაცებულ გულშემატკივრებს ვიხილავ.

— მატჩის შემდეგ ალბათ სკოლარისთან ერთად წაგების მიზეზებზეც იმსჯელებდით. მწვრთნელმა რა გითხრათ?

ნუნუ გომეში: ბევრი არაფერი გვქონდა სათქმელი. გასახდელში ყველანი დათრგუნულები ვიყავით და საყვედურებისა თუ შენიშვნების დრო აღარ იყო. რა გაეწყობა — თანაგუნდელებს ვურჩევ, სასოწარკვეთილებას არ მიეცენ და რუსებთან თამაშზე იფიქრონ. ახლა რაც შეიძლება მეტი ქულის დაგროვებაა საჭირო.

სიმაო საბროსა: ამ მატჩმა რამდენიმე პრობლემა გამოაჩინა და ალბათ სკოლარისთან ერთად შეცდომებს გამოვასწორებთ.

— ესე იგი, თვლით, რომ მიუხედავად წაგებისა, პორტუგალიის ეროვნული გუნდი მაინც ტურნირის ფავორიტად რჩება?

ნუნუ გომეში: რატომაც არა. ჯერ არაფერია დაკარგული.

სიმაო საბროსა: როგორც უკვე გითხარით, საკმაო ძალა აქვს იმისთვის, რომ ევრო 2004-ის ჯგუფური ეტაპიც გადავალახოთ და მერე ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლოთ.

ფეხბურთის რუკასთან ერთად მსოფლიოს გარშემო

ესპანური „რეალი“ ახალგაზრდა და პერსპექტიულ მეკარეს ეძებს. ასეთად კი „მალაგას“ გოლკიპერი ხუან ხესუს კალატაიუდი ესახება. საქმე ისაა, რომ იკერ კასილიასის დუბლიორი სესარ სანჩესი წელიწადში 1,5 მილიონ ევროს იღებს, რაც მადრიდელთა უფროსობის თქმით ძალიან ბევრია. მართალია, „რეალს“ სესარი არ ეთმობა, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისის გამო დიდი შანსია, მაინც გაყიდოს. ამიტომაც, „რეალმა“ უკვე დაიწყო „მალაგასთან“ მოლაპარაკება, თუმც ანდალუზიური კლუბის პრეზიდენტ სერაფინ როლდანს ეს წინადადება არ აკმყოფილებს და ნორჩ მეკარეში სულ ცოტა 3 მილიონ ევროს ითხოვს.

ინგლისის ჩემპიონმა ლონდონის „არსენალმა“ ერთბაშად 17 ფეხბურთელი გაუშვა პირველი და მეორე გუნდიდან. „მეთოფეებმა“ კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივეს სილვენ ვილტორდს, მარტინ კიოუნს, ნვანკვო კანუსა და იგორს სტეპანოვსს. კიოუნი „არსენალში“ 1993 წლიდან თამაშობდა, რაც შეეხება კანუს, მან კლუბში 5 სეზონი გაატარა, ხოლო ვილტორდმა ერთით ნაკლები, ლატვიელი სტეპანოვსი კი სამი წელი იყო გუნდში. მიუხედავად ამისა, ლონდონელთა ხელმძღვანელობამ მათთან განშორება და კლუბის განახლება გადაწყვიტა.

ესპანური „ატლეტიკოს“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი გრეგორიო მანსანო მომავალი ორი სეზონის მანძილზე „მალაგას“ უთავკაცებს. 47 წლის სპეციალისტმა მადრიდული კლუბი გასული სეზონის ბოლოს დატოვა. იქამდე კი იგი „მალიორკას“ წვრთნიდა და კუნძულელებთან ერთად სამეფო თასიც მოიგო. „მოლაპარაკებების დროს არავითარი პრობლემა არ ყოფილა და ყველანი კმაყოფილნი ვართ. მანსანომ იცის, რომ წინ ძალიან შრომატევადი სამუშაო ელის, რადგანაც კლუბი, სერიოზულ ძალად აქციოს. მე კი ყველანაირად შევეცდები, მას კარგი პირობები შევუქმნა“ — აღნიშნა „მალაგას“ პრეზიდენტმა სერაფინ როლდანმა.

პორტუგალიურმა „პორტუმ“ გუნდიდან წასულების — მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს და მარჯვენა მცველ პაულუ ფერეირას შემცვლელები უკვე იპოვა. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელებს რომ ამიერიდან „კიევოს“ ყოფილი თავკაცი ლუიჯი დელ ნერი გაწვრთნის, იცით. ამ დღეებში კი პორტუგალიელებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს ბერძნული „პანათინაიკოსის“ აწ უკვე ყოფილ მცველ გეორგიოს სეიტარიდისთან. 23 წლის ფეხბურთელი წელიწადში 700 ათას ევროს ჩაიჯიბავს, ხოლო „პანათინაიკოსმა“ კომპენსაციის სახით 3 მილიონი ევრო მიიღო.

იტალიური „რომასგან“ დაწუნებული იონ კარეუ შესაძლოა, გლაზგოს „სელტიკში“ აღმოჩნდეს. ნორვეგიელი თავდამსხმელი ამჟამად „ვალენსიას“ საკუთრებაა და დიდი ხანია, ცდილობს კლუბის გამოცვლას. ფეხბურთელის აგენტი პერ ფოლდი უკვე ჩავიდა გლაზგოში პირადი კონტრაქტის პირობების შესათანხმებლად. როგორც ცნობილია, „კელტები“ მზად არიან, გალისიურ კლუბს 5,5 მილიონი ევრო ჩაუთვალონ.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ფატულა ჰუსეინოვი გუშინ დილით საკუთარ სახლთან მოკლეს. კრიმინალების ვინაობა და მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. ამ ფაქტთან დაკავშირებით უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

იტალიური „მილანის“ მცველმა ალესანდრო ნესტამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სურს საფეხბურთო კარიერა „შავწითელ“ მაისურაში დაასრულოს: „ცხადია, ბუცების ლურსმანზე დაკიდებაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. გუნდიდან წასვლა კი საერთოდ არ მსურს, „მილანში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, სხვა საქმეა, თუ კლუბმა თავად არ გამყიდა. რაც შეეხება ფრანჩესკო ტოტის ჩვენს გუნდში შესაძლო გადმოსვლას, ასე ვიტყვი: ბრწყინვალე იქნებოდა. თავის დროზე რომის დატოვება მეც მომიწია და უნდა ვაღიარო, რომ სრულებით არ ვნანობ. მოკლედ, ტოტიმ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა „მილანთან“ ერთად ტიტულების მოგება, მის საქმეში სხვა ვერავინ ჩაერევა“.

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ოპიუმი

ვიქტორიას ქმარმა ჰენალტი რომ გამაზა, ეგრე მგონია, მთელმა დუნიამ ვიქტორია ახსენა

მე ვიცი, რომ შენ წააგე

ფულს გაფრთხილება უნდა, ძმაო! აბრამოვიჩმა ცოლ-შვილი ერთ ნაყინზე გადაატარა

სადა ბანაობ, საშა?! ალექსანდრ მოსტოვოის წითელი მზე, ლურჯი ზღვა, ზღვაზე თეთრი ქალები



ВАШУ МАТЬ! ეს რომ მიუშვა, მადრიდს დაბომბავს



ფეხბურთი, ფეხბურთი! ფეხბურთი? ჰო, ჰო, ფეხბურთი! არა, ლუდი!



ამას რომ ძველთბილისურად ჩაცვა, უარაჩოღელია რადა!



კარგი ბალღია! დამზადებულია ხორვატიაში

შემწიე, რა!

ტურამი კაპელოს ცენტრზე დაელაპარაკება



ფრანგი ლილიან ტურამი „იუვენტუსის“ ახალ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს აუცილებლად შესთავაზებს მოსაზრებას თავისი ახალი ამპლუის შესახებ.

„ჯერ არ შევხვედრივარ კაპელოს — განაცხადა მცველმა, რომელიც ახლა ევრო 2004-ში მონაწილეობს და მისი გონებაც ამითაა დაკავებული — მაგრამ კლუბში იციან ჩემი შეხედულებების შესახებ და თუ მწვრთნელიც უფრო მოსახერხებელი საქმისთვის გამომიყენებს, ბედნიერი ვიქნები“.

რაზეა ლაპარაკი? საქმე ის გახლავთ, რომ ტურამი მარჩელო ლიპის ხელში მეტწილად მარჯვენა მცველის ფუნქციას ასრულებდა, მაშინ, როდესაც თავი დაცვის ცენტრში უფრო უშეცდომოდ მიაჩნია. ახლა კი ტურამს იმედი მიეცა, რადგან რამდენადაც ცნობილია, კაპელო „ბებერი ქალბატონის“ თამაშის წესს მნიშვნელოვნად უპირებს გადახალისებას.

„კაპელო იტალიის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელია — დასძინა ფრანგმა — როდესაც „იუვენტუსის“ მწვრთნელად მისი დანიშვნის ამბავი შევიტყვეთ, ყველას ძალიან გაგვიკვირდა, რადგან ჩეზარე პრანდელის ან დიდიე დეშანს ველოდით, მაგრამ თურმე კლუბი ნამდვილ ზრახვებს მალავდა და მე თუ მკითხავთ, ძალიან კარგადაც იქცეოდა“.

და ბარემ აქვე დავძინოთ, რომ „იუვენტუსმა“ კონტრაქტი გაუხანგრძლივა სათადარიგო გოლკიპერს ანტონიო კიმენტის. ამიერიდან კიმენტი 2005 წლამდე ტურინელია.

პაპუნა კედია

ზემანი ზესერიას უბრუნდება

ჩეხი მწვრთნელი, ზდენეკ ზემანი, რომელიც იტალიაში, კერძოდ კი „სტადიო ოლიმპიკოს“ ორივე გუნდში, „ლაციოსა“ და „რომაში“ მუშაობით არის ცნობილი, ისევ სერია A-ს უბრუნდება. მისი ახალი სამუშაო ადგილი გახლავთ „ლეჩე“, სადაც ზემანი „აველინოდან“ გადაბარგდება.

„ზემანი ფეხბურთის დიდოსტატია — განმარტა გადაწყვეტილება ლეჩელთა დირექტორმა პანტალეო კორვინომ — და მას აშკარად სწყურია სერია A-ში დაბრუნება“.

ბოლო წლები ჩეხი მწვრთნელისთვის უიღბლო იყო. ჯერ „სალერნიტანაში“ მუშაობდა, შემდეგ „ნაპოლიში“, ახლა კი „აველინოსთან“ ერთად სერია C1-დან გავარდა, მაგრამ ამ ცუდი მაჩვენებლების მიუხედავად, „ლეჩეში“ სწამთ, რომ ზემანი სწორედ ის კაცია, ვინც მოხსნილი დელიო როსის ადგილი უნდა დაიკავოს.

ზემანის საყვარელი სქემა გახლავთ 4-3-3. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ „აველინოდან“ ახალ გუნდში ივან ტისკი, ვიტალი კუტუზოვი და ნოჩერინო გაჰყვებიან, სხვა საკითხია, რომ „ლეჩე“ ჰყიდის თავის უძლიერეს ფეხბურთელს, ხავიერ ერნესტო ჩევანტონს, რომლის ყიდვაც „პალერმოს“, თუმცა „პალერმო“ რაა, „იუვენტუსსა“ და „ვალენსიას“ სურთ.

საინტერესოა, რომ ლეჩელმა ახალგაზრდებმა ახლახან პრიმავერას ჩემპიონატი მოიგეს, ფინალში „ინტერს“ პენალტებით 6:5 აჯობეს, ასე რომ, ზემანს ახალი თაობა სავარაუდოდ ადგილობრივი წიაღიდანაც მიუვა.

პაპუნა კედია

პერუჯა ნიგერიას ობოდოს უმალავს

„პერუჯას“ საქციელმა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციაში დიდი აღშფოთება და ფუთფუთი გამოიწვია. მიზეზი: იტალიურმა კლუბმა ნაკრებში სათამაშოდ არ გაუშვა კრის ობოდო.

საქმე ის გახლავთ, რომ „პერუჯამ“ სერია A-ს გასულ ჩემპიონატში ბოლოდან მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად სერია B-ს მეექვსე გუნდს, „ფიორენტინას“ უნდა შეხვდეს 16 და 20 ივნისს. ერთი სიტყვით, სერსე კოზმის გუნდი საბედისწერო მატჩებისთვის ემზადება და ამიტომაც არ უშვებს ობოდოს ნიგერიაში, რომელიც 19-ში ანგოლას ეთამაშება. ეს თამაში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისა გახლავთ.

თუმცა, პრობლემა მარტო ეს არ გახლავთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ობოდოს არც ალჟირში მოუწევს გამგზავრება. მოკლედ, პერუჯელები ადრე თუ გვიან ფიფას წინაშე წარდგომას და ახსნა-განმარტების მიცემას ვერ აცდებიან, იქ კი რასაც იტყვიან, ამთავითვე ცნობილია: ნიგერიელებს ფაქსი ფეხბურთელის განთავისუფლების შესახებ რეგლამენტით გათვალისწინებული 15 დღით ადრე არ გამოუგზავნიათ.

ანგოლასთან ვერ ითამაშებს „ინტერის“ ფეხბურთელი ობაფემი მარტინიც, რომელსაც მუხლის მყესი აქვს დაზიანებული.

პაპუნა კედია

ესპანეთი

სგზუნდადვიზიონი. XLI ტური

ალხესირასი 0:1 ნუმანსია
0:1 მორენო (35)

ალმერია 2:1 სპორტინგი
1:0 ფრანსისკო (57), 1:1 ისმაელი (59), 2:1 ორტისი (66)

კორდობა 1:0 ელჩე
1:0 სორია (20)

ალავესი 1:0 სიუდად მურსია
1:0 რუბენ ნავარო (40)

ხეტაფე 2:1 ეიბარი
1:0 პაჩონი (12), 1:1 დანიელი (77), 2:1 ურანგა (86)

ლას პალმასი 2:1 ტერასა
0:1 რესიო (18), 1:1, 2:1 რუბენი (76, 84)

ლევანტე 2:0 პოლი ეხიდო
1:0 აგანსო (14), 2:0 კონგო (73)

მალაგა B 2:2 ტენერიფე
0:1 კეკო (3), 1:1 მარიო (41), 1:2 კეკო (73), 2:2 პაკო ესტებანი (86)

უელვა 3:1 ლეგანესი
1:0 უჩე (32), 1:1 კალანდრია (41), 2:1 მანუ (43)

სალამანკა 1:1 რაიო ვალეკანო
0:1 პულიდო (23), 1:1 ზე ტო (74)

ხერესი 1:1 კადისი
0:1 ხონათანი (77), 1:1 ჩანგი (82)

ლევანტე	41	22	12	7	55:29		78
ნუმანსია	41	21	10	10	58:30		73
ხეტაფე	41	19	16	6	50:35		73
ალავესი	41	19	14	8	46:31		71
სპორტინგი	41	19	10	12	57:40		67
უელვა	41	14	20	7	45:32		62
კადისი	41	16	10	15	50:46		58
ტენერიფე	41	11	21	9	37:35		54
ხერესი	41	12	18	11	47:48		54
ეიბარი	41	12	16	13	43:37		52
ალმერია	41	11	17	13	44:47		50
ელჩე	41	13	11	17	49:61		50
ტერასა	41	12	13	16	41:46		49
მალაგა B	41	11	16	14	46:55		49
სალამანკა	41	9	21	11	45:43		48
კორდობა	41	10	16	15	36:42		46
ლეგანესი	41	9	19	13	36:46		46
პოლი ეხიდო	41	11	13	17	28:40		46
სიუდად მურსია	41	10	16	15	49:63		46
რაიო	41	11	10	20	44:61		43
ლას პალმასი	41	9	14	18	44:67		41
ალხესირასი	41	6	15	20	39:55		33

ურუგვაი

პრიმერა. XIV ტური

ფენიქსი — დეფენსორი 2:0; მალდონადო — დანუბიო 0:2; მირამარი — კოლონია 1:1; ტაკუარემბო — სენტრალი 2:2; პენიაროლი — ნასიონალი 0:0; ბელა ვისტა — უონდერერსი 0:2; როხა — პლაზა 2:4; ლივერპული — რენტისტასი 1:2; სერო — სერიტო 1:3

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. კონკაკაფი

I საკვალიფიკაციო წრე
VIII ჯგუფი. I მატჩი

კანადა 4:0 ბელიზი

II საკვალიფიკაციო წრე I მატჩი

აშშ 3:0 გრენადა

არგენტინა

კლასესერა. XVII ტური

არსენალი — ჩაკარიტა 2:2; ოლიმპო — ბოკა ხუნიორსი 2:2; რივერ პლეიტი — ლანუსი 2:1; სან ლორენსო — როსარიო 0:0; ოლდ ბოიზი — ატლეტიკო 0:1; ესტუდიანტესი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ბანფილდი — ხიმნასია 3:1; ინდეპენდიენტე — ტალიერესი 0:2; კოლონი — ველესი 1:2; კილმესი — რასინგი 3:0

რივერ პლეიტი	17	12	3	2	38:17		39
ბოკა ხუნიორსი	17	10	5	2	34:16		35
ტალიერესი	17	9	4	4	27:17		31
ველესი	17	8	4	5	29:20		28
ბანფილდი	17	8	4	5	24:16		28
კილმესი	17	7	6	4	21:16		27
რასინგი	17	8	3	6	28:27		27
კოლონი	17	7	3	7	19:24		24
სან ლორენსო	17	5	8	4	17:14		23
არსენალი	17	5	8	4	18:22		23
ატლეტიკო	17	6	4	7	22:22		22
ესტუდიანტესი	17	5	5	7	19:26		20
ლანუსი	17	5	4	8	21:25		19
ინდეპენდიენტე	17	4	7	6	18:24		19
ოლდ ბოიზი	17	3	9	5	26:25		18
ნუევა ჩიკაგო	17	2	11	4	17:23		17
ოლიმპო	17	3	6	8	15:26		15
ჩაკარიტა	17	2	8	7	18:31		14
ხიმნასია	17	2	7	8	19:25		13
როსარიო	17	2	5	10	14:27		11

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IX ტური

იარო — ჯაზი 3:1; მეკ — ტამპერე 0:0; კტპ — როვანიემი 3:0

ტამპერე	9	6	2	1	12:4		20
ალიანსი	9	6	1	2	14:8		19
ჰაკა	9	5	3	1	14:5		18
ინტერი	9	5	1	3	15:12		16
ჰიკ	10	3	6	1	16:10		15
კტპ	9	4	2	3	13:9		14
ტურკუ	9	4	2	3	14:11		14
მიუპა	9	3	3	3	10:11		12
ლაჰტი	9	2	5	2	10:12		11
ტპ 47	8	2	3	3	10:11		9
ჯაზი	9	2	1	6	16:20		7
იარო	9	2	1	6	11:18		7
ჰამენლინა	9	1	3	5	9:17		6
როვანიემი	9	1	1	7	7:23		4

ნორვეგია

ტიპელიგა. XI ტური

ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 0:4; ბრანი — ფრედრიკსტადი 4:2; ჰამ კამი — მოლდე 5:1; ლინი — ვიკინგი 2:0; სოგნდალი — ვოლერენგა 2:1; ტრომსიო — ოდ გრენლანდი 2:0; სტაბეკი — რუსენბორგი 1:1

ტრომსიო	11	7	1	3	20:9		22
რუსენბორგი	12	5	5	2	22:14		20
ბრანი	11	6	1	4	18:12		19
ჰამ კამი	11	5	4	2	15:13		19
ლინი	11	5	3	3	14:9		18
ვოლერენგა	11	4	5	2	11:10		17
ლილესტრიომი	11	4	4	3	18:11		16
ოდ გრენლანდი	11	4	4	3	16:13		16
ვიკინგი	11	2	6	3	8:12		12
მოლდე	11	2	5	4	12:17		11
სტაბეკი	11	3	2	6	11:18		11
ბოდიო გლიმტი	12	3	2	7	11:23		11
სოგნდალი	11	2	4	5	15:20		10
ფრედრიკსტადი	11	2	2	7	17:27		8

მექსიკა

კლასესერა. პლეი ოფი
ფინალი. საპასუხო მატჩი

უნამი 0:0(პენ.5:4) გვადალახარა (1:1)

ჩილე

აპერტურა. პლეი ოფი
1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

კოლო კოლო — უაჩიპატო 0:1 (1:1); კობრელოა — ტემუკო 3:1 (1:1); უონდერერსი — უნიონ ესპანიოლა 2:0 (1:2); უნივერსიდად დე კონსეპსიონი — უნივერსიდად დე ჩილე 2:0 (1:2)

ამხანაგური მატჩი

კაბო ვერდე 1:3 სენეგალი

ბრაზილია

სერია A. IX ტური

ინტერნასიონალი — ატლ. მინეირო 4:1; სან პაულუ — გრემიო 3:2; პარანა — ბოტაფოგო 1:1; ფლუმინენსე — გუარანი 1:1; ფლამენგო — ატლ. პარანენსე 3:0; ვიტორია — სანტოსი 1:2; პალმეირასი — ვასკუ და გამა 2:2; გოიასი — კორინთიანსი 1:1; კურიტიბა — სან კაეტანო 1:0; პონტე პრეტა — ფიგეირენსე 0:2; კრუზეირო — პაისანდუ 1:0; კრისიუმა — ჟუვენტუდე 2:0

კრისიუმა	9	5	3	1	17:11		18
სან პაულუ	9	5	3	1	15:11		18
ფიგეირენსე	9	5	2	2	12:7		17
ინტერნასიონალი	9	5	2	2	11:6		17
კრუზეირო	9	5	2	2	15:13		17
პალმეირასი	9	4	3	2	18:7		15
სან კაეტანო	8	4	2	2	13:7		14
ატლ. პარანენსე	9	4	2	3	13:9		14
პონტე პრეტა	9	4	2	3	8:9		14
ფლუმინენსე	9	3	5	1	10:8		14
ვიტორია	9	4	1	4	19:12		13
გოიასი	9	3	3	3	16:16		12
ჟუვენტუდე	8	3	2	3	11:8		11
პარანა	9	3	2	4	11:18		11
სანტოსი	9	3	1	5	13:18		10
გრემიო	9	2	4	3	14:14		10
კურიტიბა	9	2	4	3	6:8		10
ვასკუ და გამა	9	2	3	4	12:11		9
გუარანი	9	2	3	4	6:9		9
კორინთიანსი	9	2	3	4	9:21		9
ატლ. მინეირო	9	1	6	2	12:15		9
ფლამენგო	9	1	4	4	10:14		7
ბოტაფოგო	9	0	5	4	9:19		5
პაისანდუ	9	0	3	6	9:18		3

ვერ გეტყვით, გუშინ ბათუმის მატარებელმა თბილისიდან რამდენი მგზავრი წაიყვანა, მაგრამ ის კია, ერთი ვაგონი ფეხბურთელების რომ იყო

ბათუმი შენდება

ქორიძემ ერთი ვაგონი ფეხბურთელები ჩაიყვანა

გაახლებული „ბათუმი“ ხვალიდან ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. ის ბიჭებიც, რომლებიც მატარებელში ისხდნენ, დღეიდან უკვე „ბათუმის“ ფეხბურთელები იქნებიან. „ფეხბურთელთა ვაგონის“ მგზავრთა უმეტესობა 19-21 წლის იყო, მათ კი აჭარისკენ „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ ქორიძე მიუძღვებოდა.

ჩიტაური, გეგუჩაძე, შანავა, საბაშვილი, თოლორდავა, ჭაღიაშვილი, ქავთარაძე, მელქაძე, ბერიანიძე, ლობჟანიძე, ხავთასი, ზარქუა, გამცემლიძე, კოპალიანი, არჩვაძე — აი, ის ბიჭები, რომლებიც ახალი სეზონიდან „ბათუმში“ ითამაშებენ. ამ ფეხბურთელებიდან ბერიანიძე, ლობჟანიძე და ხავთასი ბელარუსის უმაღლესლიგელ „ლოკომოტივსა“ და „მალადეჩნოში“ თამაშობდნენ, კოპალიანი წყალტუბოს „სამგურალში“.

— ძალიან პერსპექტიული და იმედისმომცემი ბიჭები არიან. ფაქტობრივად, დღეიდან ბათუმში ახალი გუნდის შენებას ვიწყებთ და გვჯერა, ამ ფეხბურთელებით „ბათუმი“ ძველ დიდებას დაიბრუნებს — გვითხრა ვახტანგ ქორიძემ.

— „ბათუმში“ დარჩენილი ფეხბურთელები გუნდს დატოვებენ?

— არა, ამ ბიჭებს ჩავიყვანთ, ერთად მოემზადებიან და მერე ვნახოთ... აჭარას ხომ უმაღლეს ლიგაში მეორე გუნდიც ჰყავს. ჰოდა, შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელი „ქობულეთს“ დავუთმოთ.

კობა ინასარიძე

ბაფანი ჯიმელაძის ფოტო

გიორგი ლომაია: ჩემი ჯილა ბუფონია

ორს მიემატა ერთი, მაგრამ იქნება რამდენი?

მოსკოვის „სპარტაკში“ ქართული სიახლეა — გიორგი ლომაიას და ვალერი აბრამიძეს თბილისის „დინამოდან“ გაშვებული დავით ქოქიაშვილი შეუერთდა. ქოქიაშვილი დღემდე „სპარტაკის“ საკუთრებაა და „დინამომდე“ თბილისურ „ლოკომოტივშიც“ თამაშობდა იჯარით.

გუშინწინ მოსკოველები შოლკოვოს „სპარტაკს“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ და 3:1 მოუგეს. ნევიო სკალამ აბრამიძე-ქოქიაშვილის დუეტი მეორე ტაიმში ათამაშა, ლომაიას კი სიცხე ჰქონდა და დაისვენა, თუმც ახლა ჯანზეა და გუშინ „სარბიელთან“ სასაუბროდაც მოიცალა. სპარტაკული ამბების გარდა ევროპის ჩემპიონატსაც გადავწვდით...

— ორიოდ დღის წინ თავი შეუძლოდ ვიგრძენი და აღმოჩნდა, რომ მაღალი სიცხე მქონდა. ამიტომაც გამოვტოვე ეს ამხანაგური მატჩი. ახლა უკეთ ვარ, დღეს უკვე ვივარჯიშე კიდეც.

— ნევიო სკალას დარჩენა საბოლოოდ გადაწყდა?

— კი, ჯერჯერობით ეგრეა.

— შეკრებაზე სად მიდიხართ?

— არსად. ინტერტოტოზე თამაშმა გეგმები აგვირია. 20 ივნისს უკვე თამაში გვაქვს ლიტვურ „ატლანტასთან“ და წასვლას ვერსად მოვასწრებთ.

— აბრამიძე რატომ არ შეიყვანეს საინტერტოტო განაცხადში, უშვებენ?

— არა მგონია. როგორც თქვეს, ეს წინასწარი განაცხადი იყო და კიდევ შეიძლება ცვლილებები მოხდეს. თან ჩემპიონატის განახლებამდე ჯერაც დიდი დროა. დიდი შანსია, 1 ივლისიდან აბრამიძეც შეიყვანონ განაცხადში.

— ქოქიაშვილს რა შანსი აქვს?

— არ ვიცი. რამდენიმე დღეა, ჩვენთან ვარჯიშობს, მაგრამ რას აპირებს, ნაღდად ვერ გეტყვი. მისი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილია.

— ევროპის ჩემპიონატზე ვის ქომაგობ?

— იტალიას და ინგლისს.

— ესე იგი, ინგლისის წაგებით გულდაწყვეტილი იქნები...

— ეგრეა, მაგრამ დაკარგული არაფერია.

— მეკარეებიდან ვის გამოარჩევ, შენი აზრით, ვინ გახდება ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე?

— ალბათ, ჯანლუიჯი ბუფონი. ისე, ინგლისთან ფაბიენ ბარტეზმაც ძალიან მაგრად ითამაშა, თუმც ჩემი ჯილაა მაინც ბუფონია.

ძახა შალამბერიძე

წყალტუბო მცხეთას ელის, მცხეთა კონფერენციას

გუშინდელ „სარბიელში“ დაბეჭდილ წყალტუბოს მერ და „სამგურალის“ ვიცე-პრეზიდენტ მამუკა საღარეიშვილის ინტერვიუდან გაიგებდით, რომ წყალტუბოელთა და „მცხეთა-ურიონის“ მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაშია და დღე-დღეზე შეთანხმებაც შედგება, ანუ გაჭირვებული, მაგრამ უმაღლესი ლიგის საგზურის მქონე „სამგურალი“ ადგილს ფულიან, თუმც პირველ ლიგაში დაქვეითებულ „მცხეთა-ურიონს“ დაუთმობდა. საღარეიშვილმა ისიც გვითხრა, რომ ურიონელებს საბოლოო პასუხი დღეს უნდა ეთქვათ, თუმც...

გუშინ „მცხეთა-ურიონის“ პრეზიდენტ ვაჟა თოფურიას ვესაუბრეთ და ეს საქმეც ისევ ბურუსმა მოიცვა. ბატონმა ვაჟამ ამ ეტაპზე ყოველგვარი მოლაპარაკება გამორიცხა და საკითხი კვლავ ღიად დატოვა...

— არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. წყალტუბოში მართლაც ვიყავით, ოღონდ მხოლოდ ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. „სამგურალთან“ 1:2 წავაგეთ. ეს იყო და ეს.

— წყალტუბოელებმა გვითხრეს, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილიაო...

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა. ჩვენ „სამგურალის“ ფეხბურთელებზე დაკვირვება გვინდოდა და თუ რომელიმე მოგვეწონებოდა, ტრანსფერზეც ვიფიქრებდით.

— მერე, მოგეწონათ ვინმე?

— გარკვეული კონტურები მოვხაზეთ, თუმც ჯერ რამის თქმა არ მსურს.

— ესე იგი, უმაღლესი ლიგის საგზურის ყიდვას არ აპირებთ?

— ყოველ შემთხვევაში, მაგაზე ლაპარაკი არ გვქონია. ჯერ უნდა ჩამოვყალიბდეთ, გავარკვიოთ, რა გვინდა და რა არა. ამის შემდეგ უფრო კონკრეტულად გაგცემთ პასუხს.

— და რამდენ ხანში ჩამოყალიბდებით?

— ალბათ ათ დღეში. მანამდე ვერაფერს გეტყვით.

— არ გეშინიათ, სხვა კლუბმა რომ დაგასწროთ? მაგალითად, ზესტაფონის „მეტალურგმა“ ან თბილისის „სპარტაკმა“...

— არ ვიცი, რა გითხრათ...

— ალბათ 18 ივნისის პროფლიგის კონფერენციასაც ელით...

— რასაკვირველია. კონფერენციაზეც ბევრი რამ გაირკვევა და მერე უფრო ზუსტად გვეცოდინება, რა უნდა გავაკეთოთ.

ძახა შალამბერიძე

ბაფანი ჯიმელაძის ფოტო

„მცხეთა-ურიონის“ სიხარული პროფლიგის გადაწყვეტილებაზეც ჰკიდია

სპარტაკი და 18: ან ეს, ან მეტი

18 ივნისამდე *ანუ პროფლიგის კონფერენციამდე რაღა დარჩა და, ამ დღემდე ამ ორგანიზაციის მიერ შექმნილ კომისიას ის კლუბები უნდა დაემიძღვრა, რომელთაც უმაღლეს ლიგაში თამაში სურდათ. ვრცელდება ხმები, რომ უმაღლესში გადასულ წყალტუბოს „სამგურალს“ და „რუსთავს“ უფულობის გამო შეიძლება, ადგილის დათმობა მოუხდეთ. უმაღლესლიგელებიდან კი ბოლნისის „სიონია“ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში და არაა გამორიცხული, ამ კლუბის ადგილიც გაიყიდოს. რაკი გამყიდველები არსებობენ, მყიდველებიც აუცილებლად გამოჩნდებოდნენ, თუნდაც ფინანსურად მომძლავრებული ზესტაფონის „მეტალურგი“ და წლეულს გავარდნილები — „მცხეთა“ და „სპარტაკი“... ეს კლუბები ჯერაც გაურკვევლობაში არიან და ყველაფერს სწორედ 18 ივნისის შემდეგ დაგეგმავენ, ეს ჩვენთან საუბარში „სპარტაკის“ პრეზიდენტმა როლანდ ჩხაიძემაც დაადასტურა...*

— დღეს საკმაოდ ბევრი ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გაიგებ. მაგალითად, უკვე გადაწყვეტილ ამბად მითხრეს ჩემსავე კლუბში თემურ მახარაძის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა. არადა, ეს ასე არ მომხდარა. უბრალოდ, მახარაძე ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად განიხილებოდა და მასთან მოლაპარაკება გვქონდა, კონტრაქტი კი არ გაფორმებულა.

— მახარაძესთან მოლაპარაკება ახლაც მიმდინარეობს?

— არა, უკვე შეწყდა.

— შესაძლოა, პროფლიგის მოთხოვნები რამდენიმე კლუბმა ვერ დააკმაყოფილოს, რაც თქვენ უმაღლესი ლიგისკენ გზას გაგიხსნით...

— მართალი გითხრათ, 18 ივნისის მოლოდინში ვარ. ამ დღეს ვნახავთ, რა დასკვნებს გააკეთებს შესაბამისი კომისია და ჩვენც შემდეგ ვიმოქმედებთ.

— შემდეგ ვიმოქმედებთო, ბრძანეთ, ხომ არ დაგიგვიანდებათ?

— არა, რატომ? ჩვენ უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ დღესვე მზად ვართ. გარდა ამისა, „სპარტაკს“ ლიცენზია აღებული აქვს.



ბაფანი ჯიმელაძის ფოტო

— ესე იგი, დაელოდებით 18 ივნისს და კლუბის გაძლიერებას, შეკრებასა და სხვა გეგმებსაც მერე დაისახავთ?

— ასეა. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გვსურს, მაშინ 20 ივნისიდან შევიკრიბებით, გავძლიერდებით და შეკრებასაც მოვაწყობთ, თუ არა, ივლისის დასაწყისისთვის დავიწყებთ მოსამზადებელ ეტაპს.

დავით ერაძე

მსურს ექვსი ფორვარდი და არ მსურს ფორსირება



ბადრი ჯეთელაძის ფოტო

გია გეგუჩაძის ფრონტი უცვლელია: თავს სამი ხაცით ვესხმი

თბილისის „დინამოს“ ახალი სეზონისთვის მზადების დაწყებას ახალი სატრანსფერო მითქმა-მოთქმა მოჰყვა — ითქვა, „დინამო“ იმ ფეხბურთელებს დაითხოვს, ვისი გაშვებაც გუნდმა გაზაფხულზე ვერ მოახერხაო. მაგალითად, ბაქოს „ნეფთჩისთან“ შაბათის ამხანაგური მატჩის განაცხადში სანდრო იაშვილის არყოფნამ ზოგი იაშვილის გუნდიდან წასვლაზე აალაპარაკა, რასაც ახალაიასა და შაშიაშვილის ხსენებაც მოჰყვა. იმასაც ამბობენ, „დინამოს“ თავკაცს თავდასხმაში კონკურენციისთვის ექვსი ფეხბურთელი არ სჭირდება და, სავარაუდოდ, იაშვილს და ახალაიას შეელევაო.

მოკლედ, მოარული ხმების გასაფანტად თუ დასადასტურებლად სიტყვა „დინამოს“ მწვრთნელს გია გეგუჩაძეს ვთხოვეთ

— „დინამო“ სამი თავდამსხმელით თამაშობს, გაგრძელებასაც ასევე ვაპირებთ და არ უნდა გვყავდეს ექვსი ფორვარდი?! კონკურენციისთვის ერთ ადგილზე ორი ფეხბურთელი მაინც საჭიროა. აქეთ თუ არ მოვიყვანთ, არავის არსად გაშვებას არ ვაპირებთ. ახალაიას „ნეფთჩისთან“ სიმბოლურად კაპიტნის სამკლავურიც კი გავუკეთეთ. იაშვილის ბაქოელებთან არყოფნის მიზეზი კი წმინდა სპორტულია. მზადება ახალდაწყებული გვაქვს და იაშვილისთვის ზედმეტ დატვირთვას მოვერიდე...

— შაშიაშვილი არ გიხსენებიათ...

— შაშიაშვილი „დინამოში“ დარჩება. სეზონის დამთავრებისთანავე მან კონტრაქტი გააგრძელა.

— გუნდიდან არავის ვუშვებთო, თქვით. ჩავთვალოთ, რომ ეს შემადგენლობა საბოლოოა?

— ორი-სამი ფეხბურთელის საკითხი დაგვრჩა გასარკვევი. ახლა ჭიჭვეიშვილთან და სილაგაძესთან გვაქვს მოლაპარაკება და თუ ესენი დავითანხმეთ, „დინამოს“ დაკომპლექტებაც ამით დამთავრდება.

— ბაქრაძესთან მოლაპარაკება შეწყვიტეთ?

— დიახ, მან „დინამო“ დატოვა.

— ვიტჯორჯიელიების, ნოზაძისა და ადამიას გადაბირების იმედი არ გაქვთ?

— როგორ არა, ამ ფეხბურთელებს „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტები 1 აგვისტოს უმთავრდებათ და მერე, შეთანხმებისამებრ, ისინი „დინამოში“ გადმოვლენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის სურვილი გვაქვს.

— მერედა, ჩემპიონატის განაცხადში მათი შეყვანა მოესწრება?

— ეგ პრობლემა არაა. განაცხადის შევსების ვადა აგვისტოს ბოლომდე გვაქვს.

— გერმანულ შეკრებაზე წამსვლელთა სიას როდის გამოაცხადებთ?

— 15 ივნისს გორის „დილასთან“ ამხანაგურ მატჩს ვითამაშებთ, რის მერეც გერმანიაში წამსვლელთა სიას დავაზუსტებთ.

— მზადება ახალდაწყებული გაქვთ. ყველაფერი გეგმის შესაბამისად მიდის?

— არაფერია ხელისშემშლელი, გეგმას მივყვებით. „დილასთან“ მატჩის შემდეგ უკვე ფეხბურთელთა შეთამაშების ეტაპი დადგება. თბილისში დაგეგმილი ოთხი მატჩიდან ორს ფეხბურთელთა ფორმის აღსადგენად გამოვიყენებთ, „თბილისთან“ და „ლოკომოტივთან“ მატჩები კი შეთამაშებისთვის გვჭირდება. არ მსურს მზადების ფორსირება. „ნეფთჩისთანაც“ შვიდი ფეხბურთელი შევცვალე, „დინამო 2“-დან დამატებულ ახალგაზრდებსაც ვაძლევ თავის გამოჩენის საშუალებას, მსურს ისინი კონკურენტუნარიანობას შეავჩვიო.

კოტა ინასარიძე

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

„დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ბორის გონჩაროვს მაისურა უკვე უბოძა, მაგრამ „სიონი“ ამ საქმიდან ხეირს ელის

მადნეულო, მადლი ჰქენი!

სიონი გონჩაროვზეც ფულს ითხოვს

ბოლნისური „სიონის“ ბედი კვლავაც გაურკვეველია. ცოტა ხნის წინ ჩემპიონატის ერთ-ერთი მოწინავე კლუბი შესაძლოა, ისტორიის კუთვნილება გახდეს. რამდენიმე დღეში სიონელები „მადნეულის“ ხელმძღვანელებს შეხვდებიან და მაშინღა გაიკვეცა, დააფინანსებს თუ არა „მადნეული“ „სიონს“.

გუშინ გაირკვა, რომ 17 ივნისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე ბოლნისელთა საკითხს გაარჩევენ. ფედერაციამ და პროფლიგამ „სიონი“ მკაცრად დასაჯეს: უეფას თასიდან მოკვეთეს და საშინაო სარბიელზე ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. თითქოს გასარკვევი აღარც არაფერია, მაგრამ ბოლნისელებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და შესაბამისი განცხადებით მიმართეს პროფლიგას. „სიონი“ უეფას თასზე მონაწილეობის უფლების დაბრუნებას და ათმატჩიანი დისკვალიფიკაციის გაუქმებას ითხოვს. საეჭვოა, აღმასკომმა ბოლნისელთა პირველი მოთხოვნა დააკმაყოფილოს, თუმც ის კი შესაძლოა, რომ 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია შეუმსუბუქოს. ასეც რომ მოხდეს, ბოლნისურ კლუბს არაფერი ეშველება, თუკი „მადნეულმა“ გუნდის დაფინანსებაზე უარი თქვა. არადა, საქმე აქეთკენ მიდის.

— „მადნეულის“ დირექტორმა ვასილ ცოტაძემ გვითხრა, მე კი მინდა, გუნდი კვლავაც დავაფინანსო, მაგრამ სამეთვალყურეო საბჭო უარზეაო, ამიტომაც მეეჭვება, „მადნეულთან“ მოლაპარაკებამ ჩვენთვის სასურველი შედეგი გამოიღოს. თუ უარი გვითხრეს, ამით ყველაფერი დამთავრდება — გვითხრა „სიონის“ ტექნიკურმა დირექტორმა პეტრე დანელიამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

არადა, „მადნეულის“ გარდა „სიონს“ სხვა გზა არცა აქვს. დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ ბოლნისელები იმ 300 ათასი ლარის მოძიებას, პროფლიგა რომ ითხოვს უმაღლესში სამონაწილეოდ.

ბოლოს ერთი საინტერესო დეტალიც: რამდენიმე დღის წინ თბილისის „დინამომ“ ახალწვეულთა პრეზენტაცია მოაწყო. ჟურნალისტებს წარუდგინეს „სიონის“ ყოფილი მეგოლე ბორის გონჩაროვიც. ამ ფაქტის გამო კი შესაძლოა, სკანდალიც აგორდეს. საქმე ის გახლავთ, რომ გონჩაროვს ჯერაც არ აუღია „სიონიდან“ განთავისუფლების ფურცელი...

ჩვენ გილაურის და ონიანის გარდა არავინ გაგვიშვია. მართალია, გონჩაროვს „სიონთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, მაგრამ ხელშეკურელების თანახმად, ჩვენი ვალი აქვს, ამიტომაც არ მივეცით განთავისუფლების ფურცელი და არც ეკუთვნის, სანამ ჩვენთან ურთიერთობას არ მოაგვარებსო, გვითხრა პეტრე დანელიამ.

პაატა კვანტალიანი

შერიფთან, შემოწმებაზე

გოგინაშვილმაც ტირასპოლში გაუტია

თბილისის „ლოკომოტივს“ ალბათ კიდევ ერთი ფეხბურთელი დატოვებს. რკინიგზული კლუბისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა რომან გოგინაშვილმა ტირასპოლის „შერიფს“ მიაშურა გასასინჯად.

გოგინაშვილი მესამე ქართველია, წლეულს „შერიფის“ გზას რომ დაადგა. გაგახსენებთ, ზამთარში მოლდოვურ კლუბში ასევე გორელები, მურთაზ ბურნაძე და ლუკა რაზმაძეც იმყოფებოდნენ. ტირასპოლელებმა ბურნაძეს კონტრაქტი გაუფორმეს, რაზმაძე კი მშობლიურ „დილას“ დაუბრუნდა და დღე-დღეზე ინტერტოტოზეც ითამაშებს. კიდევ ერთი გორელი, ვაჟა თარხნიშვილი კი, გეცოდინებათ, „შერიფის“ კაპიტანი და ლიდერია.

მოლდოვაში ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, თუმც გასარკვევი გარკვეულია — „შერიფი“ უკვე და ზედიზედ მეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

კახა შალამბერიძე

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

რომან გოგინაშვილი

ყრილობა ზეგ სიონისთვისაც შეიყრება

ფეხბურთის ფედერაციის მეშვიდე ყრილობა 17 ივნისს გაიმართება. ყრილობის დღის წესრიგში შვიდი საკითხია.

ყრილობაზე აირჩევენ სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, დაამტკიცებენ სადისციპლინო კომიტეტის ახალ შემადგენლობას. მოისმენენ და დაამტკიცებენ ფინანსურ და აუდიტორულ ანგარიშს. დაგეგმილია ცვლილებები ფედერაციის წესდებაშიც. ყრილობაზე იმსჯელებენ სფფ-ის მიმდინარე საქმიანობისა და ფიფას რეკომენდაციით საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ვადის გადაწევის და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გაწევრიანების შესახებ.

ყრილობის ბოლოს დელეგატები ბოლნისელთა საჩივარსაც განიხილავენ და შესაძლოა, ქვემოქართლელებს სასჯელიც შეუმსუბუქონ.

პაატა კვანტალიანი

ეროვნული ნიგნიგან

ჩემი სკანდინავიური სპორტი

ფეხბურთელის ბოლო და მწვრთნელის დასაწყისი

ქართველი ფეხბურთელების გალეგიონერება 1989 წლიდან დაიწყო. ეს იყო დრო, როცა ჩვენი ასაკიანი მოთამაშეები ევროპაში ლამობდნენ კარიერის თბილად დასრულებას.

თბილისის „დინამოს“ მოუღლელი ნახევარმცველი ზაურ სვანაძე 1981 წლის დიუსელდორფის ტრიუმფის ერთ-ერთი მონაწილე გახლავთ, ვინც შვედეთში ფეხბურთის თამაშიც დაასრულა და მწვრთნელობაც დაიწყო.

სვანაძე ახლა თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელია და შვედურ ამბებს იგონებს. მას შვედეთში თითქმის ყველაფერი ხიბლავდა, იქაური ქალების გარდა...

დავით თავართქილაძე

საქართველოდან 1990 წელს წავედი, სანამ ეროვნული ჩემპიონატი გაიმართებოდა. მაშინ 32 წლის ვიყავი და ფეხბურთის თამაში კიდევ მინდოდა.

შვედეთში სათამაშოდ ჩვენგან პირველად თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია წავიდნენ. მათ იქ ერთი წელი დაჰყვეს და უკან გამობრუნდნენ. მომდევნო წელიწადს კი იმავე გუნდმა მე და მერაბ მეგრელაძე მიგვიწვია — „ჰოლმსუნგი“ პირველ ლიგაში გამოდიოდა, შვედეთის რანგით მეორე ლიგაში.

გადაწყვეტილების მიღებისას არ მიყოყმანია, უცხოეთში სათამაშოდ წასვლა მაშინ ახალი ხილი იყო და ძალიან მინდოდა, საზღვარგარეთ მეც მომესინჯა ძალა. თანაც „ჰოლმსუნგმა“ ნორმალური პირობები შემომთავაზა — ათასი დოლარი ხელფასი და ბეგარას კლუბი იხდიდა, ბინა და მანქანა, მაგრამ არანაირი „პადიომნი“ და პრემიები.

ჰოლმსუნგი პატარა სანავსადგურო ქალაქია შვედეთის ჩრდილოეთით. იქ აპრილში ჩავედით მე და მეგრელაძე. კლუბის პრეზიდენტმა ძალიან თბილად მიგვიღო და გუნდთან წარგვადგინა, რომელშიც მოყვარულები თამაშობდნენ — დღისით მუშაობდნენ, საღამოს ვარჯიშობდნენ. „ჰოლმსუნგის“ სტადიონი კი ხუთი ათას კაცს იტევდა. ერთი თვის შემდეგ ჰოლმსუნგში ოჯახიც ჩავიყვანე.

სანამ სეზონი დაიწყებოდა ორი ამხანაგური მატჩი ვითამაშე, ხოლო პირველი ლიგის თოთხმეტგუნდა ჩემპიონატი აპრილის ბოლოს დაიწყო. „ჰოლმსუნგის“ მწვრთნელიც მოყვარული გახლდათ, ფეხბურთისთვის მხოლოდ საღამოს იცლიდა. ჩვენი მიზანი არგავარდნა იყო, რადგან წინა სეზონის შემდეგ გუნდი შენგელიას და სულაქველიძის ჩათვლით ათმა ფეხბურთელმა დატოვა.

სადებიუტო მატჩი ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვითამაშე, რადგან ჰოლმსუნგში კიდევ თოვლი იდო. საყრდენ ნახევარმცველად გამამწესეს, მეგრელაძე კი, რა თქმა უნდა, თავდასხმაში. საკმაოდ ძალისმიერი ორთაბრძოლა 0:0 დამთავრდა. სიმართლე გითხრათ, თამაში გამიჭირდა, რადგან ასეთ მოედანზე პირველად ვითამაშე — მაშინ ხელოვნური საფრები უხარისხო იყო, საფარს საგანგებოდ ასველებდნენ, რათა დარბილებულიყო და ფეხბურთელებს ტრავმები არ მიეღოთ, ბურთი კი ასეთ მოედანზე ძალიან უცნაურად დახტოდა.

შვედეთის პირველ ლიგაში მოყვარული ფეხბურთელები საკმაოდ დიდ დატვირთვებს უძლებდნენ, მაგრამ ხარისხი დაბალი იყო. „ჰოლმსუნგში“ ეს განსაკუთრებულად იგრძნობოდა, რადგან გუნდში მეტწილად ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

მეორე წრიდან „ჰოლმსუნგს“ ფინანსური პრობლემები მოეძალა. კლუბის ხელმძღვანელობამაც მე და მეგრელაძეს გვითხრა, სეზონის ბოლომდე შეპირებულ ხელფასს ველარ გადაგიხდითო. ჰოდა, ჩვენც ნაადრევად დავტოვეთ შვედეთის პირველი ლიგა, სადაც ოთხი გოლი გავიტანე. კლუბის პრეზიდენტმა აეროპორტამდე მიმაცილა და კონტრაქტი გადმომცა განსახილველად — გუნდის მოთამაშე-მწვრთნელობას მთავაზობდა. ერთი სიტყვით, ექვსი თვის შემდეგ თბილისში დავბრუნდი და „ჰოლმსუნგის“ პრეზიდენტის სატელეფონო ზარს ველოდი. შვედურ ენაში კი უკვე საკმაო წარმატებები მქონდა — ხუთი თვე მე და მეგრელაძე ენის ასათვისებლად სპეციალურ სკოლაში დავდიოდით.

თბილისში შვედეთიდან ერთი თვის ჩამოსული ვიყავი, როცა „ჰოლმსუნგის“ პრეზიდენტმა დარეკა და მითხრა, პირველი ლიგიდან გავვარდით, თანაც გავკოტრდით და კლუბიც დაიშალაო. პრეზიდენტს ერთი კარგი რამ მაინც შერჩა — ჰოლმსუნგში „დინამოს“ ის მაისურა მქონდა წაღებული, „კარლ ცაისთან“ რომ მეცვა და როცა მთხოვა მაჩუქეო, უარი ვერ ვუთხარი.

გავიდა ორი კვირა და შევიტყვე, რომ ჩემით სხვა შვედური გუნდია დაინტერესებული. მაშინ ჯერ კიდევ „დინამოს“ ვეკუთვნოდი და შვედეთში ტრანსფერზე მოსალაპარაკებლად ვლადიმერ გუცაევი და „დინამოს“ სხვა წარმომადგენლებიც გაემგზავრნენ. დაბრუნდა გუცაევი სტოკჰოლმიდან და გადაწყდა, რომ შვედეთის მეოთხე ლიგის გუნდში ვითამაშებდი. კონტრაქტი პირველი ლიგის რომელიღაც კლუბთან გავაფორმე, ხოლო სათამაშოდ მეოთხე ლიგაში წავედი — მალმბარიეტის „მაიფი“, ასე ერქვა იმ გუნდს. პირობები „მაიფში“ დაახლოებით იგივე იყო, რაც „ჰოლმსუნგში“. მაგრამ მალმბარიეტი შვედეთის კიდევ უფრო ჩრდილოეთითაა და ჰოლმსუნგზეც პატარა ქალაქია.

მალმბარიეტში ცხრა წელი დავრჩი, 1995 წლამდე ფეხბურთელი ვიყავი, 1995-დან 2000 წლამდე კი მოთამაშე-მწვრთნელი. მეოთხედან მესამე ლიგაში გადავედით — ასეთი იყო ჩვენი მონაგარი.

მალმბარიეტში ტემპერატურა ხანდახან მინუს თვრამეტიდან მინუს ოცდაათ გრადუსამდე ვარდებოდა, მაგრამ სიცივე მაინცდამაინც არ იგრძნობოდა, რადგან იქ ნესტი არ არის, ძალიან მშრალი ჰავაა. ცხოვრება კი ცოტა მოსაწყენი იყო — საღამომდე, როცა ვარჯიში იყო, დრო ხომ უნდა გამეყვანა. მალმბარიეტში ძალიან მეგობრული, თბილი ხალხი ცხოვრობს. ბევრი მეგობარი შევიძინე. ჩრდილოელი შვედები სამხრეთელ შვედებზე უფრო თბილი ხალხია.

„მაიფის“ საშინაო მატჩებზე 500-1000 კაცი მოდიოდა. მაგრამ მალმბარიეტი მეზობელ ქალაქზე ლამის გადაბმულია და როცა მეზობლები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ეს უკვე მართლაც დერბი იყო — ასეთ შეხვედრებს 2000 გულშემატკივარი ესწრებოდა, მატჩის შემდეგ კი ლუდის სმა მიდიოდა.

როცა მოთამაშე-მწვრთნელი გავხდი, „მაიფში“ მალხაზ არზიანი მოვიდა და რამდენიმე სეზონი ითამაშა, ხოლო გია გიგატაძემ ერთი სეზონი. ჩვენს გარდა ქართველი იქ არ ყოფილა, რუსები კი ორისამი ოჯახი იყვნენ. „მაიფში“ ერთ იუგოსლავიელი ლეგიონერიც თამაშობდა.

მალმბარიეტში გოლფის და ჩოგბურთის თამაშით შეიძლებოდა თავის შექცევა ან ჰოკეის მატჩზე დასწრებით, ამ ქალაქს ფრენბურთის კარგი გუნდიც ჰყავდა. შვედი მეგობრები ხანდახან სათევზაოდაც მეპატიჟებოდნენ. რაც შეეხება იქაურ ქალებს, ქართველი მანდილოსნები გარეგნობით მათ ბევრად აღემატებიან.

შვედეთში მოქალაქეობის მიღება შემეძლო, მაგრამ ეს არ მომითხოვია. კიდევ რამდენიმე წლით დარჩენა კი მართლა მინდოდა, მაგრამ მეუღლემ და ბავშვებმა არ დამანებეს.

როგორც მწვრთნელს, შვედეთში მუშაობამ საკმაოდ ბევრი შემძინა. მესამე ლიგის გუნდს ვწვრთნიდი, მაგრამ ბევრი რამ ვისწავლე და სამწვრთნელო გამოცდილებაც დამიგროვდა.

შვედ მეგობრებს კი ახლაც ვეხმიანები. მათ ქართული რაღაცრაღაცეებიც ვასწავლე, თუნდაც ის, რომ სტუმრად მისვლა წინასწარ გაფრთხილების გარეშეც შეიძლება.

ზაურ სვანაძე საბჭოთა ჩემპიონატში: დინამოელებს მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ვიქტორ პრუდნიკოვისთვის ბევრი ბურთი დაუშენიათ

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

© 2002 UEFA TM

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	6,0	3,1	1,65	2,04	1,29	1,07
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,45	3,6	7,0	1,03	1,2	2,37
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ივნისი						
5007		გერმანია-ჰოლანდია	3,6	2,05	2,7	1,3	1,54	1,16
5008		ჩეხეთი-ლატვია	1,65	2,6	7,0	1	1,33	1,89
		16 ივნისი						
5009		საბერძნეთი-ესპანეთი	6,0	2,1	2,0	1,55	1,5	1,02
5010		რუსეთი-პორტუგალია	6,0	2,3	1,8	1,66	1,38	1
		17 ივნისი						
5011		ინგლისი-შვეიცარია	1,7	2,5	6,5	1,01	1,34	1,8
5012		ხორვატია-საფრანგეთი	6,5	2,4	1,75	1,75	1,37	1,01

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B. პლეი ოფი						
		16 ივნისი						
23.30	101	ბარი-ვენეცია	1,8	2,8	4,6	1,09	1,29	1,74
23.30	102	პერუჯა-ფიორენტინა	1,75	2,8	5,0	1,07	1,29	1,79
		შვედეთი. სუპერეტა. გადადებული მატჩი						
		16 ივნისი						
22.00	126	ჰეკენი-ბრაგე	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
		ნორვეგია. I დივიზიონი. XII ტური						
		16 ივნისი						
22.00	144	ბრინი-ჰაუგესუნდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
22.00	145	ჰიოდი-მოსი	2,45	3,6	2,25	1,45	1,17	1,38
22.00	146	ჰიონეფოსი-კონგსვინგერი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
22.00	147	რაუფოსი-პორს გრენლანდი	1,7	3,8	3,6	1,17	1,15	1,84
22.00	148	სანდეფიორდი-სკეიდი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
22.00	149	სტარტი-ალესუნდი	1,85	3,6	3,2	1,22	1,17	1,69
22.00	150	ტრომსდალენი-მანდალი	3,8	4,0	1,65	1,94	1,15	1,16
22.00	151	ვარდ ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი	3,0	3,8	1,9	1,67	1,16	1,26
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. VI ტური						
		15 ივნისი						
00.15	171	ფილკირი-ვიკინგური	1,35	4,0	7,0	1	1,13	2,54
00.15	172	ვესტმანაეიარი-კეფლავიკი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
		ჩილე. აპერტურა						
		16 ივნისი						
24.00	250	უნ.ჩილე-უონდერერსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
		17 ივნისი						
24.00	251	უაჩიპატო-კობრელოა	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იაპონია. ჯეი ლიგა. XIII ტური						
		16 ივნისი						
15.00	261	ნიიგატა-შიმიცუ	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
15.00	262	ჩერეძო-გამბა	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
15.00	263	იჩიჰარა-ტოკიო	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
15.00	264	ივატა-კობე	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
15.00	265	ნაგოია-ოიტა	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
15.00	266	ვერდი-კაშიმა	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
15.00	267	ურავა-კაშივა	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
15.00	268	იოკოჰამა-ჰიროსიმა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
		შვედეთი. თასი. III ეტაპი						
		15 ივნისი						
22.00	281	ვიოტებორგი-ტრელებორგი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
		ბრაზილია. თასი.						
		1/2 ფინალი. II მატჩი						
		16 ივნისი						
05.45	285	ფლამენგო-ვიტორია	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		ლიბერტადორესის თასი.						
		1/2 ფინალი. II ეტაპი						
		16 ივნისი						
04.45	286	ონსე კალდასი-სან პაულო	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
		17 ივნისი						
23.00	287	რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
		კალათბურთი. NBA						
		15 ივნისი						
05.30	1001	დეტროიტი-ლეიკერსი	1,65	10,0	1,95	1,41	1	1,63

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წაგებულად ჩაითვლება)

	15 ივნისი		
5407	გერმანია-ჰოლანდია	2,0	1,8
5408	ჩეხეთი-ლატვია	1,25	3,6
	16 ივნისი		
5409	საბერძნეთი-ესპანეთი	2,6	1,5
5410	რუსეთი-პორტუგალია	3,2	1,35
	17 ივნისი		
5411	ინგლისი-შვეიცარია	1,4	3,0
5412	ხორვატია-საფრანგეთი	3,0	1,4

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	15 ივნისი									
5107	გერმანია-ჰოლანდია	4,6	10,0	20,0	5,3	4,4	4,6	20,0	10,0	3,5
5108	ჩეხეთი-ლატვია	1,7	15,0	30,0	3,5	5,6	15,0	25,0	15,0	15,0
	16 ივნისი									
5109	საბერძნეთი-ესპანეთი	10,0	10,0	20,0	10,0	4,4	3,5	20,0	10,0	2,3
5110	რუსეთი-პორტუგალია	10,0	10,0	20,0	12,0	5,0	3,5	25,0	12,0	2,0
	17 ივნისი									
5111	ინგლისი-შვეიცარია	1,9	12,0	25,0	3,5	5,0	12,0	20,0	12,0	12,0
5112	ხორვატია-საფრანგეთი	11,0	11,0	20,0	12,0	4,8	3,5	20,0	10,0	2,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	15 ივნისი			
5507	გერმანია-ჰოლანდია	3,0	2,8	2,0
5508	ჩეხეთი-ლატვია	3,0	2,8	2,0
	16 ივნისი			
5509	საბერძნეთი-ესპანეთი	3,0	2,8	2,0
5510	რუსეთი-პორტუგალია	3,0	2,8	2,0
	17 ივნისი			
5511	ინგლისი-შვეიცარია	3,0	2,8	2,0
5512	ხორვატია-საფრანგეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	15 ივნისი		
5307	გერმანია-ჰოლანდია	1,65	1,95
5308	ჩეხეთი-ლატვია	1,8	1,8
	16 ივნისი		
5309	საბერძნეთი-ესპანეთი	1,65	1,95
5310	რუსეთი-პორტუგალია	1,65	1,95
	17 ივნისი		
5311	ინგლისი-შვეიცარია	1,7	1,9
5312	ხორვატია-საფრანგეთი	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	15 ივნისი		
5207	გერმანია-ჰოლანდია	1,75	1,95
5208	ჩეხეთი-ლატვია	1,9	1,7
	16 ივნისი		
5209	საბერძნეთი-ესპანეთი	1,65	1,95
5210	რუსეთი-პორტუგალია	1,75	1,85
	17 ივნისი		
5211	ინგლისი-შვეიცარია	1,75	1,85
5212	ხორვატია-საფრანგეთი	1,75	1,85

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ლეიკერსი 1:3 დეტროიტი

13 ივნისი. დეტროიტი. „ობურნ ჰილზი“. 22 076 მაყურებელი

დეტროიტი 88:80 ლეიკერსი

21:22 20:17 15:17 32:24

დეტროიტი: ბილაფსი (23), ჰამილტონი (17), პრინსი (6), რ. ვოლესი (26 ქულა, 13 მოხსნა), ბ. ვოლესი (8 ქულა, 13 მოხსნა); ჰანტერი (4), ჯეიმსი (4), კემპბელი, უილიამსონი, ჰემი, მილიჩიჩი

ლეიკერსი: პეიტონი (8), ბრაიანტი (20), ჯორჯი (5), მელოუნი (2), ონილი (36 ქულა, 20 მოხსნა); ფიშერი (4), მედვედენკო (3), ფოქსი (2), უოლტონი, რაში, რასელი

დეტროიტი დეტონატორი

ლეიკერსი ფეთქდება



REUTERS დეტროიტიდან

ჩონსი ბილაფსმა გერი პეიტონი (მარცხნივ) და მთელი „ლეიკერსი“ სადღაც ქვევით დატოვა

ნამატჩევს

ლარი ბრაუნი, „დეტროიტის“ მთავარი მწვრთნელი:

— რაშიდ ვოლესის ასეთ კარგ თამაშს თუ ელოდით?

— მატჩამდე ვიღაცამ თქვა, რაშიდი დღეს 20 ქულას გააკეთებსო. მან ოცზე მეტი გააკეთა და საერთოდ, ბრწყინვალე იყო მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში. რაშიდის კარგი თამაში ტაიშონ პრინსის, რიპ ჰამილტონისა და ჩონსი ბილაფსის აქტიურობამაც განაპირობა. ერთიანობაში ეს ბიჭები შეუდარებელნი იყვნენ. რაშიდმა გაანეიტრალა კარლ მელოუნი და არც ერთ ლეიკერსელ დამცველს არ შეეპუა. მე ვამაყობ მისით.

— ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯია. რა უთხარით ბიჭებს?

— პირველ რიგში ის, რომ მეამაყება მათი მწვრთნელობა. მე ვუთხარი, რომ სერია 4 მოგებამდეა და ახლა მხოლოდ ერთ რამეზე უნდა იფიქრონ, მომავალ მატჩზე. ამაღამ ბიჭებს დასვენების საშუალებას მივცემ, ხვალ კი დარბაზში გამოვიკეტებით.

— დეტროიტელებს ეცოდინებათ, რომ 1:3 ჩამორჩენის შემდეგ ფინალური სერია არავის შემოუტრიალებია. ეს მომენტი მათზე როგორ იმოქმედებს?

— მაგაზე არავინ ფიქრობს. მათ იციან, რომ ისევე უნდა ითამაშონ, როგორც აქამდე. თავის მხრივ, ლეიკერსელებმაც იციან, რომ არავის მოუგია 1:3 ჩამორჩენის შემდეგ, მაგრამ მწვრთნელად 9 ტიტულის მომგები ჰყავთ და ყველაფრის პრეტენზიაც ექნებათ.



REUTERS დეტროიტიდან

სტანისლავ მედვედენკო და რაშიდ ვოლესი მსუბუქად წაკინკლავდნენ

რაშიდ ვოლესი, „დეტროიტის“ ფორვარდი:

— თქვენ არცთუ კარგი იმიჯი გაქვთ ჟურნალისტებსა და მსაჯებს შორის. რას ფიქრობთ, ჩემპიონობა იმიჯს გამოგიკეთებთ?

— რა, ჩემპიონი რომც გავხდე, დარწმუნეული ხართ, რომ ჩემზე ცუდს აღარ დაწერთ? ვინ რას იტყვის, არ მაღელვებს, დედაჩემი მეუბნებოდა, თუ ვინმე კარგს იტყვის შენზე, მისი მეორე ნახევარი უთუოდ გაგლანძღავსო. ასე რომ, მე ჩემსას გავაკეთებ, თქვენ კი რაც გენებოთ, ის დაწერეთ ჩემზე.

— ამ მატჩში მედვედენკოსთან ერთად ტიტულით და ოქროს დიდება ონილს ხვდება, კობის კი ერთხელ გადაუბრუნდა ფეხი, სასტუმროს დამლაგებელს ხელი წაატანა და სრულიად ამერიკა მთელი სასამართლო კომბინატით და მყვირალა პრესით დააცხრა, თითქოს ერთ პატარა შეცდომამდე ხალხის საყვარელი ვარსკვლავი კი არა სექსუალური მანიაკი ყოფილიყო.

„დეტროიტში“ კი პასი არავის უგვიანდება.

თამაში თანაბარი იყო, სხვაობა 11 ქულას არ გასცილებია და „ლეიკერსიც“ მოიგდებდა ხოლმე ლიდერობას. მაგრამ როცა საჭირო გახდა, „დეტროიტმა“ მეტი მონდომება და ჯიგარი დადო მოედანზე. მასპინძლები ბევრით არა, მაგრამ საბოლოოდ გავიდნენ წინ და „ლეიკერსს“ შანსი არ მისცეს. დიდი გუნდია „პისტონზი“, ერთხელ უკვე დაუშვა შეცდომა, როცა სერიის მეორე თამაშში გამარჯვება აჩუქა „ლეიკრესს“ — ბოლო ნახევარ წუთში 6 ქულით იგებდა და ოვერტაიმში წააგო. ეს ისეთი დამთრგუნველი მარცხი იყო, ვიფიქრეთ შედარებით გამოუცდელები არიან და წელში ვეღარ გაიმართებიანთქო. მაგრამ ახლა „დეტროიტი“ 3:1 იგებს და თითქმის ჩემპიონია.

და კიდევ იმიტომაცაა დიდი გუნდი, რომ მრისხანე მეტოქის დაჩაგვრის მიუხედავად თავი ჩემპიონი არ ჰგონია და სიფხიზლეს ინარჩუნებს. „პისტონზის“ მწვრთნელი ლარი ბარუნი ამბობს — „მათ ჰყავთ დიდი მწვრთნელი, რომელმაც 9-ჯერ მოიგო ფინალი. მათ ჰყავთ ორი უდიდესი მოთამაშე, რომლებიც თავიანთ პიკზე არიან, ასე რომ, მოდით ჯერ ნუ მომთხოვთ დასკვნების გაკეთებას.“

ჩვენც მოვიცადოთ.

კოტე ყორშია

REUTERS დეტროიტიდან

ფილ ჯეკსონი ნერვებს ვეღარ ერევა

ფილ ჯეკსონმა მატჩის მე-9 წუთზე მიიღო ტექნიკური შენიშვნა მსაჯისგან. თამაში თავიდანვე თანაბარი იყო, მაგრამ „ლეიკერსი“ გრძნობდა, რომ ყველაფერი ისე არ მიდიოდა, როგორც მისთვის იყო საჭირო, „ლეიკერსი“ ღელავდა და განიცდიდა. ბოლოს „ლეიკერსმა“ წააგო ეს თამაში. ახლა ფავორიტი ლოსანჯელესელები ფინალურ სერიას 1:3 აგებენ და ეს უკვე მარცხს ნიშნავს, რჩება მხოლოდ თეორიული შანსი... და კიდევ ერთი თამაში დეტროიტში.

„ლეიკერსმა“ ბოლოს ფინალი 1991 წელს წააგო „ჩიკაგოსთან“. სხვათა შორის, „ჩიკაგოს“ მაშინ სწორედ ფილ ჯეკსონი წვრთნიდა, რომელსაც აქამდე ყველა ფინალი მოუგია, რომელშიც კი გასულა — 9-დან 9 გამარჯვება აქვს და კიდევ ერთი უნდა, რომ ლეგენდარულ რედ აუერბახს გადაასწროს, მაგრამ პირველად ცხოვრებაში მისი გუნდი ფინალის მოგებას არ იმსახურებს. „ლეიკერსი“ უბრალოდ ვერაფერს უხერხებს „დეტროიტს“ და მორჩა.

„დეტროიტს“ ჰყავს კარგი მოთამაშეები და არა სუპერვარსკვლავები ან დიდების დარბაზის მომავალი წევრები. ამ გუნდის საუკეთესო მოთამაშე ბენ ვოლესისთვის თამაშში 10 ქულის ჩაგდება კარგ შედეგად ითვლება. აი ასეთი გუნდია „დეტროიტი“ და აქ ყველა ერთ რამეზე ფიქრობს — გუნდმა უნდა მოიგოს. შუა სეზონში შემატებული შლეგი რაშიდ ვოლესიც კი დაცხრა, აგერ, 26 ქულა ჩაუგდო „ლეიკერსს“. ეს სუფთა გუნდია და არავინ არაფერზე წუწუნებს (მე-12 მოთამაშე დარკო მილიჩიჩის გარდა).

„ლეიკერსში“ შაკი თანაგუნდელებს უყვირის, პასი მომეცითო კობი კი შაკზე იბოღმება — ყველა ბრალდებულ ტიტულით და ოქროს დიდება ონილს ხვდება, კობის კი ერთხელ გადაუბრუნდა ფეხი, სასტუმროს დამლაგებელს ხელი წაატანა და სრულიად ამერიკა მთელი სასამართლო კომბინატით და მყვირალა პრესით დააცხრა, თითქოს ერთ პატარა შეცდომამდე ხალხის საყვარელი ვარსკვლავი კი არა სექსუალური მანიაკი ყოფილიყო.

„დეტროიტში“ კი პასი არავის უგვიანდება.

თამაში თანაბარი იყო, სხვაობა 11 ქულას არ გასცილებია და „ლეიკერსიც“ მოიგდებდა ხოლმე ლიდერობას. მაგრამ როცა საჭირო გახდა, „დეტროიტმა“ მეტი მონდომება და ჯიგარი დადო მოედანზე. მასპინძლები ბევრით არა, მაგრამ საბოლოოდ გავიდნენ წინ და „ლეიკერსს“ შანსი არ მისცეს. დიდი გუნდია „პისტონზი“, ერთხელ უკვე დაუშვა შეცდომა, როცა სერიის მეორე თამაშში გამარჯვება აჩუქა „ლეიკრესს“ — ბოლო ნახევარ წუთში 6 ქულით იგებდა და ოვერტაიმში წააგო. ეს ისეთი დამთრგუნველი მარცხი იყო, ვიფიქრეთ შედარებით გამოუცდელები არიან და წელში ვეღარ გაიმართებიანთქო. მაგრამ ახლა „დეტროიტი“ 3:1 იგებს და თითქმის ჩემპიონია.

და კიდევ იმიტომაცაა დიდი გუნდი, რომ მრისხანე მეტოქის დაჩაგვრის მიუხედავად თავი ჩემპიონი არ ჰგონია და სიფხიზლეს ინარჩუნებს. „პისტონზის“ მწვრთნელი ლარი ბარუნი ამბობს — „მათ ჰყავთ დიდი მწვრთნელი, რომელმაც 9-ჯერ მოიგო ფინალი. მათ ჰყავთ ორი უდიდესი მოთამაშე, რომლებიც თავიანთ პიკზე არიან, ასე რომ, მოდით ჯერ ნუ მომთხოვთ დასკვნების გაკეთებას.“

ჩვენც მოვიცადოთ.

კოტე ყორშია



REUTERS ლონდონიდან

ენდი როდიკი

დიდი გასეირნება ბალახზე

ენდიმ და როჯერმა ფეხი დაისვეს

THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS

ლონდონი. ბალახი

საპრიზო 792 ათასი €

ფინალი

ენდი როდიკი (1, აშშ) — სებასტიან გროჟანი (5, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:4

ენდი როდიკმა და სებასტიან გროჟანმა „სტელა არტუას“ ფინალში შარშანაც იპაექრეს. მერე ორივემ უიმბლდონურ ნახევარფინალსაც უწია — როდიკი იქ როჯერ ფედერერმა დაჩაგრა, ხოლო გროჟანს მარკ ფილიპუსისმა სძლია. საკუთრივ ქუინზკლაბური ფინალი კი შარშანაც ამერიკელმა მოიგო და ახლაც.

გასული კვირა ენდიბომ მართლაც შთამბეჭდავად ჩაითამაშა და ბარაქიანი გლაჯუნის კვალობაზე თავისივე სამსოფლიორეკორდად სწრაფი, საათში 244,6-კილომეტრიანი მოწოდებაც გაუმჯობესა საათში 246,2 კილომეტრამდე.

შედეგად: 21 წლის იანკიმ კარიერის მეთოთხმეტე, ხოლო წლის მესამე ტიტული მოიხვეჭა გამარჯვებულისთვის დათქმული 112 602 დოლარითურთ. თუკი ვინმეს არ ახსოვს, შევახსენებთ, წლეულს მან ასევე სან ხოსესა და მაიამიშიც იმარჯვა.

GARRY WEBER OPEN

ჰალე. ბალახი. საპრიზო 792 ათასი €

ფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — მარდი ფიში (6, აშშ) 6:0, 6:3

როდიკის დარად უპრობლემოდ დაიცვა ტიტული ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა როჯერ ფედერერმაც. ახლა მას ბალახზე ზედიზედ უკვე ჩვიდმეტი მოგება, ხოლო წლეულს უკვე ხუთი ტიტული დაეკვეხება, რაიც — თქვენც დაგვეთანხმებით — წინასაუიმბლდონოდ დასტურ ზორბა თულფები გახლავთ.

ხუთი ტიტული რომ ვთქვით, ჰალემდე ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობა, დუბაობა, ინდიანუელსობა და ჰამბურგობაც მოიგო. ნაჰალევს მისი ტიტულზარდახშა თექვსმეტ ერთეულამდე გაივსო, ხოლო პირადი ბიუჯეტი — მორიგი 135 253-დოლარიანი ტრანშით.

მოკლედ, 22 წლის ალპელი ყველანაირად მზად არის შარშან უიმბლდონურ კოინდარზე ნაშოვნი სლემტიტულის შესანარჩუნებლად. ჰალალი და ნიჭიერი ხალხის წარმატება კი ჩვენც ნიადაგ გვახარებს ხოლმე.

REUTERS ბალტიმორიდან

როჯერ ფედერერი

DFS CLASSIC

ბირმინგემი. ბალახი

საპრიზო 170 ათასი $

ფინალი

მარია შარაპოვა (3, რუსეთი) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:1

17 წლის მაშა შარაპოვამ გაფრანგებული თვისტომის, ერთი წლით მასზე უმცროს ტატიანა გოლოვინის ძლევით კარიერის მესამე ტიტული და საბასტიბუბოდ 27 ათასი დოლარიც ირგუნა.

ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე ეს მეორედ მოხდა, რაგინდარა ტურნირის ბედი ასეთ უწლოვან მეჩოგნეთა შეხლამ რომ გადაწყვიტა. რეკორდი ჯერაც 1991 წლის სანდიეგოობას ეკუთვნის, რომლის ფინალშიც ერთმანეთს 15 წლის ჯენიფერ კაპრიატი და 17 წლის მონიკა სელეში ერკინენ.

ლევან კელაურაძე

ავტორბოლა

რალფს პოდიუმი წაართვეს

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

რა ხანია, „სამეფო რბოლებში“ ამგვარი სკანდალი არ მომხდარა. კვირას მონრეალში, კანადის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ ოთხ პილოტს მისცეს დისკვალიფიკაცია.

მანქანების რბოლისშემდგომ სავალდებულო შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ „უილიამსს“ და „ტოიოტას“ მუხრუჭების გასაგრილებელი ჰაერმიმღებები დასაშვებზე დიდი ჰქონიათ, რის გამოც რალფ შუმახერს, ხუან-პაბლო მონტოიას, კრისტიანო და მატას და ოლივიე პანის შედეგები გაუუქმეს. ყველაზე მეტად პატარა შუმი დაზარალდა — მეორე ადგილი და საამისო რვა ქულა ჩამოერთვა. მონტოიამ სამეხუთეადგილო ოთხი ქულა დაკარგა, ტოიოტელმა და მატამ კი ერთი.

ამრიგად, მონრეალში უსწრაფესი წრის ავტორმა და მესამე ადგილზე გასულმა რუბენს ბარიკელომ ერთი საფეხურით აინაცვლა, თანასკუდერიელ მიხაელ შუმახერის გვერდით დადგა და შედეგად, „ფერარის“ წლეულს უკვე მეხუთე დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) მოგება ჩაეთვალა. თანაც რუბინიომ კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო ცხრილში საავიცეჩემპიონო პოზიცია.

რალფის დასჯით იხეირა ბარ-ელმა ჯენსონ ბატონმაც, რომელიც მიმდინარე სეზონში უკვე მეექვსედ აღმოჩნდა პოდიუმზე. ყველაზე მეტად კი ახალბედა ტიმო გლოკმა გაიხარა. „ჯორდანში“ ჯორჯო პანტანოს შემცვლელი გერმანელი კანადაში ფინიშთან მე-11 მივიდა, მაგრამ წინმდგომი ოთხეულის მოკვეთამ პირველივე რბოლაში ორი ქულით დაასაჩუქრა.

რალფ შუმახერს წლეულს პირველი პოდიუმი არ შერჩა

მოტორბოლა

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

ვალენტინო როსი ორი ჩავარდნის შემდეგ პოდიუმის წვერზე დაბრუნდა

კატალონიის დიდი პრიზი. *ბარსელონა — 4727 მ*

მოტო გრან პრი

1 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) — 44 წთ; 03,255
2 სეტე გიბერნაუ (ესპანეთი, ჰონდა) — ჩამორჩა 0,159
3 მარკო მელანდრი (იტალია, იამაჰა) — 13,923

საერთო ჩათვლა

1 გიბერნაუ 106 ქულა; 2 როსი 101; 3 ბიაჯი 80; 4 კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) 49; 5 ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) 48

250 სმ³

1 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) — 41 წთ; 29,955
2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა) — 0,109
3 ანტონიო ელიასი (ესპანეთი, ჰონდა) — 9,521

საერთო ჩათვლა

1 დე პიუნე 98 ქულა; 2 პედროსა 90; 3 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 63; 4 ალფონსო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია) 56; 5 ელიასი 54

125 სმ³

1 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, აპრილია) — 41 წთ; 19,986
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰონდა) — 0,016
3 პაბლო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია) — 0,342

საერთო ჩათვლა

1 დოვიზიოსო 96 ქულა; 2 ბარბერა 74; 3 ლოკატელი 73; 4 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 68; 5 ნიეტო 55

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯელიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge